ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ.

საქართველოს წითელი ალმა

№ 21. 5 მაისი, 1922 წელი. № 21.

ᲒᲔᲜᲣᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

ᲒᲔᲜᲣᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ.

(დეპეშა საკუთარ კორესპოდენტისაგან)

კონფერენციის კომისიას ჯერ კიდევ არ განუხილავს მასზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა დელეგაციების მანდატები. მან მიანდო ეს საქმე სათანადო დასკვნისთვის ხუთ ექსპერტ-იურისტს კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოებიდან, ე. ი. ინგლისელს, ფრანგს, იტალიელს, ბელგიელს და იაპონელს. თავისთავათ მისახვედრია, განსახილველია უმთავრესათ რუსეთის და მისი „მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების“ მანდატები, — სხვა სახელმწიფოთა მიმართ მხოლოდ უბრალო ფორმალობას შეიცავს ეს.

როგორც ვიცით, მოსკოვის დელეგაცია ხან თავის თავს ეძახის საქართველოს წარმომადგენელს, ხან ბუდუ მდივანი გამოყავს ამ როლში. უფრო დასაჯერებელია პირველი ვარიანტი, რადგან ბუდუ მდივანი სრულიად მიჩქმალულია. ის ზის „ბესტში“ — მოსკოვის დელეგაციის სასახლეში, რომელსაც უდარაჯებენ იტალიის ხმელეთის და ზღვის სამხედრო ძალები, და მათ ემატება უმრავი ჟანდარმები და ჩეკისტები, გადაცმულნი თუ გადაუცმელნი, ერთმანეთში არეულნი. ერთმა ჟურნალისტმა მიმართა ბუდუ მდივანს ინტერვიუსთვის, მაგრამ მან ის რაკოვსკისთან გაგზავნა. სჩანს, არ დარჩენილან აღები კმაყოფილი მისი პირველი გამოსვლით პრესსაში და პირში ბურთი ჩაუჩრიათ და რაკოვსკი ძიძად მიუყენებიათ მისთვის.

ექსპერტებს ქონდათ მსჯელობა მანდატებზე და განსაკუთრებით შეჩერდენ საქართველოზე. მომხსენებელმა წამოაყენა სამი დებულება.

ა) უმაღლესმა საბჭომ კანნაში არ მოიწვია აზიაში მდებარე საქართველო, ამიტომ არ შეიძლება ლაპარაკი არმოწვეულ სახელმწიფოს დელეგაციაზე.

ბ) საქართველო რომ მოეწვიათ, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში წარმომადგენლობის უფლება უნდა ქონოდა და აქვს იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ვიცანით იურიდიულათ და ემყარება ხალხის ნებისყოფას.

ბ) მოსკოვის მთავრობას, რომლის ჯარებს ძალადობით უკავიათ საქართველო, და მის მიერ დაყენებულ თფილისის მართველებს არავითარი უფლება არა აქვთ საქართველოს სახელით ილაპარაკონ და ამიტომ მათი მანდატი, როგორც უკანონო, უკუგდებულ უნდა იქნეს.

დანარჩენი ექსპერტები სავსებით დათანხმენ მომხსენებელს და გადასწყვიტეს ეს იურიდიული დასკვნა წარუდგინონ სამანდატო კომისიას.

ამ რიგათ, მოსკოვს და მის თფილისელ აგენტებს უცრუვდებათ იმედი, ვერ შესძლეს საქართველოსთვის ლეჩაქის ახდა და მისი ნების-ყოფის გაბათილება. საქართველოს საერთაშორისო სტატუტი ურყევი რჩება, ის ითვლება დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელიც მხოლოდ დროებით არის უცხო ჯარებისგან დაკავებული, როგორც დიდი ომის დროს იყო ბელგია, სერბია და სხვ.

ძნელი სათქმელია, დააღწევს თუ არა თავს კონფერენცია კრიზისს, იქნება უშედეგოთ დამთავრდეს იგი განსაკუთრებით რუსეთისთვის. აღსანიშნავია, რომ მოსკოვი ეძებს იურიდიულ ცნობას და იმავე დროს ფეხ-ქვეშ სთელავს ცნობილ სახელმწიფოს უფლებას! ასეთია ლოგიკა და სამართლიანობა იმ ვაჭბატონებისა, ვინც აქ ჩიჩერინის პირით ახალ სახარებას ქადაგებენ.

ანჩინი.

ჟენუა, 30 აპრილი 1922 წ.

ბაკო და თფილისი.

ჟენუის კონფერენციამ წინააღმდეგობათა დიდი ხლართი გამოააშკარავა დიდ სახელმწიფოთა შორის. ანტანტა, რომლის მთავარი ძალა საკითხების თანხმობით გადაწყვეტაში მდგომარეობდა, დღეს შეიძლება ითქვას უკვე აღარ არსებობს. იგი გარეგნულათაც ველარ იცავს თავის მთლიანობას. აშკარა წინააღმდეგობაა რუსეთთან ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობის დაჭერაში, წინააღმდეგობაა საერთო პოლიტიკის ყველა დარგში. საფუძველი ეყრება ძალთა ახალ გადაჯგუფებას.

ასე დგას საკითხი კონფერენციაზე.

მაგრამ მის გარეშეც არა ნაკლებ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი და ჩვენ გვგონია, რომ მთავარი ძარღვი ბრძოლის სწორეთ იმაშია, რაზედაც ოფიციალური სხდომები მდუმარებენ: ესაა ბაქოს ნავთის წყაროები. იგი ბულონის შეთანხმების თანახმათ საჯაროთ განსახილველათ აკრძალვა-დადებულია, რადგან იგი ეკუთვნის არა რუსეთს, არამედ აზერბეიჯანის რესპუბლიკას, რომელიც კონფერენციაზე მოწვეული არაა. მაგრამ მის კულისებში ბ-ნ კრასინს, რუსეთის ახალ აუქციონერს, ეს საგანი ერთ-ერთ რეალურ და ყველაზე მიმზიდველ საეჭვო საქონლათ აქვს გამოფენილი ევროპიელთა თვალების ასაჭრელებლათ.

ბაქოა ცენტრი ბრძოლის და ყურადღების. აქ ინგლისი ცდილობს თავის მონოპოლიურ ბატონობაზე. საფრანგეთი და ამერიკაც, რომელიც კონფერენციაზე წარმოდგენილი არ არის, —თავის მიუცილებელ მონაწილეობაზე.

როგორ გადაწყდება ეს საკითხი?

რას გვიქადის იგი ჩვენ?

ძნელია გადაჭრით პასუხის გაცემა ამ კითხვებზე, ძნელია მით უმეტეს, რომ შეურიგებლობა ამ საკითხში შეუძლებლათ ხდის მის ღიად და ნათლათ დაყენებას. ევროპის დიპლომატიას ასეთ საკითხში თავის საიდუმლოების საფარველ ქვეშ უყვარს საქმეების მოჭახრაკება და მოპირდაპირის უკვე მომხდარ ფაქტის წინაშე დაყენება. სამაგიეროთ საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის პრესა ისე როგორც პოლიტიკური მოღვაწეები ამ საკითხს თავს დასტრიალებენ, ერთმანეთის საიდუმლოებას ააშკარავებენ, და თავის პოზიციას ამაგრე-

ბენ. აქედან ირკვევა, რომ ინგლისური კომპანიები ნავთის წარმოების აღდგენის და მისი უცხოეთში გაზიდვის მონოპოლიას დაეძებენ. ირკვევა ისიც, რომ ასეთი მონოპოლია ამ მსოფლიო მნიშვნელობის საგანზე და უდიდეს სიმდიდრეზე ყოვლად მიუღებელია ყველა იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც სერიოზული ფლოტი მოეპოვებათ, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ამერიკისათვის.

ვინ მოიგებს ამ ჭიდილში?

ჩვენ ამის გარკვევას ამ ჟამათ ვერ გამოვუდგებით. ჩვენ გვინდა საკითხის მეორე მხარეს მივაქციოთ ყურადღება: ესაა კავშირი ბაქოსა და თფილის-ბათომ შორის, ე. ი. კავშირი ბაქოს ბედის—საქართველოს საკითხის გადაჭრასთან. ესენი კი მეტათ მჭიდროთ არიან ერთმანეთზე გადაბმული. დღეს ყველასათვის უდავოა, რომ თუ ბაქო ულეველი წყაროა უსაჭიროესი სათბობი მასალის, სამაგიეროთ თფილისი უდიდესი და უძლიერესი ცენტრია კავკასიაში ბატონობის, ხოლო ბათომი თითქმის ერთათ-ერთი კარები ამ სიმდიდრის გამოზიდვის. ამ რიგათ თუ პირველი ბატონობს ეკონომიურათ, მეორენი—გამგებლობენ პოლიტიკურათ და სტრატეგიულათ. დღემდე კავკასიის ისტორიაში, თფილისი იყო განმსაზღვრელი ბაქოს ბედის. დღეს კი ბაქოს ბედი ითრევს თავის მორევში თფილისს და ამით მთელ საქართველოს. ამას მოწმობს ბოლშევიკების უკანასკნელი თავდასხმაც, რომელსაც, თვით რადეკის სიტყვით ინტერნაციონალების თათბირზე ბერლინში, ბაქოს ნავთზე ბატონობა და მისი სარგებლობის უზრუნველყოფა ქონდა მთავარ მიზნათ დასახული.

და საქართველო ყოველთვის დიდათ მნიშვნელოვანი იქნება ყველასათვის, ვინც ბაქოს გაუწვდის ხელს.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ?

ქართველი ხალხი, თავისთავათ ცხადია ამ მსოფლიო სიმდიდრეს თავზე ცერბერივით ვერ დაადგება და ყარაულობას ვერ დაუწყებს. ეს მის ინტერესს არც წარმოადგენს. ჩვენი საზრუნავია მხოლოდ ერთი რამ: რომ ბაქოს ნავთს არ შეეწიროს საქართველოს დამოუკიდებლობა, და რომ ბოლშევიკების ჩადენილი ისტორიული ვერაგობა არ იქნეს დაფარული ნავთის საფანელით. ჩვენმა ხალხმა და ჩვენმა დიპლომატიამ უნდა შექმნან პირობები—ეს უნდა [illegible] კარათ და საყოველთაოთ,—ამ ბაქოს სიმდიდრით თავისუფლათ და ხელშეუხებლათ სარგებლობის, ვის ხელშიაც უნდა იყოს იგი: პირდაპირ აზერბეიჯანის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოსი, რომელიც მას ამა თუ იმ სახით და საშვალებით მიიღებს.

ბაქო, მსოფლიო ბატონობის იარაღი, ჩვენი მხრით არ უნდა გახდეს და არც გახდება საგანი ჭიდილის, ბრძოლის, წინააღმდეგობის. პირიქით ბაქოს მფლობელთა მიმართ სრული სოლიდარული მოქმედება და ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ბაქოს ინტერესებთან შეთანხმება უნდა გახდეს საფუძველი ჩვენი მომავალი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის. არავის არ უნდა მიეცეს მიზეზი და საბაბი საქართველოზე იარაღით წამოსვლის ბაქოს უზრუნველსაყოფათ. პირიქით თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკა ბათომ-ბაქოს მილის საუკეთესო და ყველაზე საიმედო უზრუნველყოფათ უნდა გადაიქცეს, ხოლო მისი დამორჩილება და დანგრევა-დაბრკოლებათ. ერთი სიტყვით: ბაქოს გზა ბათუმისაკენ თავისუფალია—მაგრამ მხოლოდ თავისუფალ საქართველოზე—აი ჩვენი დევიზი. ხოლო თუ ეს კეთილგანწყობილება და წრფელი სურვილი ეკონომიური სოლიდარული თანამშრომლობის და ხელის შეწყობის ვერ შეაჩერებს იმპერიალისტურ ხარბ ხელს და ვერ აგვაშორებს დღეს ჩვენში გაბატონებულ უხეშ ჩექმის ქუსლებს, მაშინ დაე იცოდეს ყველამ, ვისაც ბაქოზე უჭირავს თვალი: ბაქო მკვდარია და მისი სიმდიდრე ოხრათ შთენილი მათთვის, ვინც საქართველოს უბედურებასა და დამონებაზე მოისურვებს თავის ბატონობის ტახტის აგებას. და შემცდარი არიან ის პოლიტიკური მოღვაწეები, ვინც ქართველი ერის წმინდათა-წმინდის შებღალვით ფიქრობენ კავკასიის ყელზე თავისუფლათ განავარდებას. კომუნისტების მაგალითი, რომელთაც იარაღით მოისურვეს ამ სამეზობლო ეკონომიური საკითხის გადაწყვეტა, და რომელთაც სამაგიეროთ მხოლოდ საერთო ზიზღი და მუდმივი არეულობანი მოიმკეს, უნდა სათანადოთ შეთვისებული და აწონილ-დაწონილი იქნეს ყველასაგან, ვინც ბაქოს ეტანება.

ქართველი ერი ამ კითხვაში ერთსულოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუაში.

(10 აპრილის კონფერენციის გამო)

გენუის კონფერენციას ოფიციალურათ მხოლოდ ეკონომიური ხასიათი უნდა ქონოდა. მისი მიზანი იყო ოფიციალურათ ევროპის ეკონომიური აღდგენა, დანგრეულ რუსეთის განახლება და ასე საერთო კეთილდღეობის შექმნა. ფაქტიურათ კი, ვიცით, ეკონომიკა საფუძველია და მამოძრავებელი ძალა პოლიტიკის და გენუაც უდიდესი, უძლიერესი და დახლართული პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზათ გადაიქცა, სადაც შეიძლება სულ ახალი კომბინაციები და ძალთა განწყობილება წარმოიშვას.

გენუაში ყველა სახელმწიფო განსაკუთრებულ და ერთიმეორის სრულიად საწინააღმდეგო მიზნებით მოვიდა—ინგლისი თავის უსაზღვრო ბატონობის გასავრცელებლათ რუსეთზე და განსაკუთრებით რუსეთის ნავთზე, რომელიც დღეს მსოფლიო ბატონობის უძლიერესი იარაღია. საფრანგეთი, რომლის მეთაურები იძულებით არიან იქ მისული, ცდილობს პირველ-ყოვლისა გერმანიას და ბოლშევიკურ რუსეთსაც თავი არ წამოაწევიოს და ვერსალის ხელშეკრულების შერყევა თავიდან აიცდინოს, რომ თავის დანგრეული რაიონების აღდგენა—ფაქტი გახადოს.

საბჭოთა რუსეთი, რომელმაც ყოველივე უკვე დაკარგა, მოვიდა იურიდიულ ცნობის და სესხის მისაღებათ, რომელიც ერთათერთი საშვალებაა კომისართა მთავრობის გახანგრძლივებისა.

გერმანია—აქ აპირებდა ევროპის ოჯახში დაბრუნებას დამოუკიდებელ პოლიტიკისათვის გზის გაწალდვას და, თუ შეიძლება, ვერსალის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას.

პატარა სახელმწიფოები, მცირე ანტანტა და ნეიტრალურნი, მხოლოდ ამა თუ იმ მხარეს ეკედლებიან, პოლონეთი და მცირე ანტანტა უფრო საფრანგეთისკენ იხრება, ნეიტრალურნი საშუალო ხაზს იღებენ. იტალია კი, როგორც ჩვეულებრივ, ინგლისს მისჩანჩალებს.

ასეთ პირობებში გაიხსნა კონფერენცია.

პირველ დღესვე 10 აპრილს იჩინა თავი სასტიკმა წინააღმდეგობამ. თავმჯდომარეობდა იტალიის მინისტრი პრეზიდენტი ფაქტა.

ლოიდ ჯორჯის ლამაზი და პოეტური სიტყვის შემდეგ მშვიდობიანობისა, საერთო თანხმობის და კეთილდღეობის შესახებ, ბარტუმ—საფრანგეთის სახელით განაცხადა, რომ ის ითანამშრომლებს და ხელს შეუწყობს კონფერენციის ნაყოფიერებას ერთის აუცილებელი პირობით, რომ მან კანნის კონფერენციის დადგენილებებს არ გადაუხვიოს და იქ გადაჭრილი კითხვები სადაოთ არ გამოიტანოს: უმთავრესათ კი ეს არის საკითხები ვალების ცნობის, ხელშეკრულებათა ხელუხლებათ დატოვების და მეზობლების მიმართ აგრეთვე ბაზე ხელის აღების.

ჩიჩერინმა თავის სიტყვაში ამ საზღვრებს პირველ დღესვე გადააბიჯა: მან სადემაგოგიოთ უფრო, ვინემ სამოქმედოთ, განიარაღების საკითხი წამოაყენა; «აზრათ გვაქვს კონფერენციაზე შევიტანოთ წინადადება შეიარაღების საერთო შემცირების შესახებ და ხელი შევუწყოთ ყოველივე ზომას, რომელიც მილიტარიზმის სიმძიმეს შეამსუბუქებსო» განაცხადა მან. ამით მას ერთგვარათ ევროპის საზოგადოებრივი აზრის მოგება უნდოდა და საფრანგეთის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება; თორემ ვინ არ იცის, რომ წითელი ჯარის გარეშე რუსეთის კომისრები თავის ხალხის რისხვასაც ვერ გადაურჩებიან!

ბარტუმ (თავმჯდ. საფრ. დელეგ.) ამაზე სასტიკი პროტესტი განაცხადა, დღის წესრიგში არ მდგარა საკითხი განიარაღების და არც შეიძლება ამაზე აქ ლაპარაკი. ჩიჩერინი კვლავ შეეცადა თავის წინადადება გაემართლებია: ბრიანმა ვაშინგტონში რუსეთი მოიმიზეზა განიარაღების წინააღმდეგ და აი ჩვენ თანახმა ვართ იარაღი ავიყაროთ, მაშასადამე ეს საბუთი ამით უქმდებაო. აქ კამათში ჩაერია ლოიდ ჯორჯი—რომელიც თავიდანვე ინიციატორი იყო ამ კონფერენციის და მისი ასე ვთქვათ მომვლელი და მზრუნველია... იგი ნახევრათ დამცინავი, ნახევრათ მფარველობითი კილოთი მიმართავს ჩიჩერინს და ურჩევს მას ზომიერებას არ გადასცდეს. «კონფერენცია იმ გემს გავს, რომელსაც მძიმე ღელვაში უხდება მოგზაურობა. თქვენ ერთი მგზავრთაგანი ხართ და ნუ წამოაყენებთ ისეთ საკითხებს, რომელიც მის «ავარიას» გამოიწვევს, თორემ თქვენს პერსონასაც დაღუპვის საშიშროება მოელისო.. შეძლება მოგვეცით გაგიცნოთ ჯერ, როგორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრი ბრძანდებითო». თავმჯდომარე ფაქტა კამათს დასრულებულათ აცხადებს და ჩიჩერინს სიტყვას აღარ აძლევს, ის სდუმდება. ბარტუ კი არ ემორჩილება მას და ენერგიულათ აცხადებს, რომ ასეთ კითხვებს ადგილი არ უნდა დაურჩეს. ფაქტა ადასტურებს, აღარ გადავცდებით მიღებულ პროგრამასო და ინციდენტი თავდება.

შემდეგშიაც ბოლშევიკთა დელეგატები არა ერთხელ შეეცადენ კომისიებში ამ საკითხის წამოყენებას, მაგრამ ყველგან სიტყვა გააწყვეტინეს და ჩააჩუმეს.

პირველ დღესვე 3 კომისია იქნა არჩეული: 1) პოლიტიკური (ანუ რუსეთის საქმეების კომისია), 2) ფინანსიური და 3) ტრანსპორტის.

ამათში მთავარი პირველია. დანარჩენ ორში სპეციალისტები სხედან და თავის ცოდნას და გამოცდილებას იჩენენ, მაგრამ მათზე არც არავინ სწერს რასმეს, არც არავინ აქცევს სერიოზულ ყურადღებას.

კონფერენციის მოღვაწეთა მთელი ყურადღება პირველ კომისიის გარშემო ტრიალებს. აქ სწარმოებს ბრძოლა, აქ წყდება, თუ გნეპავთ, ბედი კონფერენციის და რამდენიმეთ ევროპის მომავალი ურთიერთობის.

ამ კომისაში რუსეთის აღდგენის საკითხი ირჩევა, ან უკეთ რუსეთის ექსპლოატაციის, და საერთოთ კანნის რეზოლიუციის ასრულების. ინგლისელებს ამისთვის უკვე აქვთ თავის ექსპერტთა პროექტი და კომისიის მუშაობას ის უნდა დადებოდა საფუძვლათ. ბოლშევიკებმა ეს არ მიიღეს, ჯერ გასაცნობათ დრო ითხოვეს, შემდეგ კი პასუხისთვის მოსკოვიდან ინსტრუქციების მოცდა მოისურვეს.

აი ამ ხანებში მოაწია 16 აპრილმა, როცა გამოქვეყნდა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულობა: ეს ყუმბარის გასკდომას უდრიდა. კომისიების მუშაობა შეჩერდა. საფრანგეთი ამ ხელშეკრულობამ ყალყზე დააყენა. ლოიდ ჯორჯი, რომელსაც, საზოგადო აზრის მიხედვით, უნდა ქონოდეს წინასწარი ცნობები ამ ხელშეკრულების დადების შესახებ, ერთხანს ძალიან აღელდა და ცხარედ ილაპარაკა ამ ბუნანათური და უადგილო აქტის წინააღმდეგ. მაგრამ როცა საფრანგეთმა კატეგორიულათ მისი გაუქმება მოითხოვა, მან ეს შეამსუბუქა და ბოლოს და ბოლოს გერმანიას მოთხოვეს—ან პირობის გაუქმება—ან რუსეთის კომისიიდან გასვლა, რუსეთი კი როგორც უპასუხისმგებლო წარმომადგენლობა—სასჯელს გადაურჩა. მაგრამ ცხადი იყო, რომ გერმანიისთვისაც, რომელმაც რაპპალოს ხელშეკრულობით (ასე უწოდებენ ამ აქტს) რუსეთის ეკონომიურ აღდგენაზე მიიღო უფლება საუკეთესო პირობების (ნაიბოლეე ბლაგოპრიატსტვუმოი სტრანი) და სამაგიეროთ მხოლოდ გააუქმა ურთიერთობის ძველი ანგარიშები ვალის, ოქმის და კონსფისკაციებით წარმოშობილის, კომისიაში ჯდომა მაინდამაინც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ასე რომ სასჯელი უფრო მორალური ხასიათის გამოდგა, ვინემ რეალური. მაგრამ აქ დაიბადა მეორე გარემოება, რომელიც შეიძლება დიდი გართულების წყაროთ გადაიქცეს. რაპპალოს ინციდენტი დასრულებულათ გამოაცხადეს კონფერენციისთვის, მაგრამ არა სახელმწიფოებისთვის, რომელთაც უფლება დაიტოვეს იგი უარყონ, რამდენათაც კი ის ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას.

ამით დამთავრდა თავი პირველი გენუის კონფერენციის.

აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტში ლოიდ ჯორჯი წინასწარ ეთათბირა ბოლშევიკებსაც, გერმანელებსაც და მათი ნოტები მოკავშირეების მოთხოვნაზე რაპპალოს ხელშეკრულების შესახებ ამ თათბირების შემდეგ იქნა წარმდგენილი. იბადებოდა იეკვი, რომ ლოიდ ჯორჯი საფრანგეთს, თავის მოკავშირეს, ამ შემთხვევაში განზე უდგება და ხრიკებს უწყობს—ხოლო გერმანია-რუსეთს აქეზებს, შეიძლება იმისთვის რომ საფრანგეთი ოპოზიციაში უდგას გენუას, შეიძლება კიდევ უფრო იმისთვის, რომ ევროპის კონტონენტზე დღეს საფრანგეთის ბატონობა ინგლისს ჭკუაში აღარ უჯდება. ლოიდ ჯორჯმა ეს გამოსთქვა კიდეც ერთერთ განცხადებაში, რომელიც საფრანგეთის პრესისთვის იყო დანიშნული. იქ მან აღიარა, რომ მას დასაშვებათ არ მიაჩნია ვინმეს გეგმონია ევროპაში, რადგან ეს ეწინააღმდეგება მშვიდობიანობის იდეას და რომ ინგლისი, როგორც კუნძულელი სახელმწიფო ბუნებრივათ მოწოდებულია მშვიდობიანობისთვის საჭირო თანამშრომლობა დაიცვას ევროპის ერთა შორის.

შემდეგ ინციდენტებში ამ გათიშვის ტენდენციამ კიდევ უფრო იჩინა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაპპალოს ინციდენტის დათავების შემდეგ კომისიის მუშაობა განახლდა უგერმანელებოთ. ბოლშევიკების პასუხიც მოვიდა მოკავშირეთა მემორანდუმზე, რომელიც მათ 15 აპრილს გადასცეს ჩიჩერინს და რომლითაც მოითხოვეს: ვალების ცნობა, საკუთრების უცხოელთათვის დაბრუნება და იურიდიული ნორმების შექმნა.

ბოლშევიკებმა თავის ვალების დასაპირისპირებლათ ანგარიში წარუდგინეს კონფერენციას ევროპის ინტერვენციით მიყენებულ ზარალის, რომელიც 50 მილიარდ ოქროს აღწევდა და მისი გასტუმრება მოითხოვეს. გამოდიოდა, რომ ევროპას მართებს მათი და არა მათ ევროპის. მოკავშირეებს ეს სასაცილოთაც არ ეყოთ. ლოიდ ჯორჯმა და სხვებმაც ეს მასხარათ აიღეს და ბოლშევიკებს ბრესტლიტოვსკი თუ სხვა შეცოდებანი მოაგონეს. ბოლშევიკები არ დაცხრენ. და ამავე შინაარსის მემორანდუმი დაუწყვეს დელეგატებს სტოლებზე. ამან კი დიდი პროტესტი გამოიწვია საფრანგეთის დელეგატის სეიდუს მხრივ, რომელმაც კომისიის სხდომა დასტოვა, ვალის საკითხი არ უნდა გახდეს ვაჭრობის და კამათის საგნათ კანნის გადაწყვეტილების თანახმათო.—მას გაყვა იაპონიის წარმომადგენელიც. კომისიის სხდომა დაიხურა. ბოლშევიკები შეშფოთდენ და თავის მემორანდუმი უკანვე წაიღეს, არ არსებულათ გამოაცხადეს, ასე ვთქვათ, ჩაყლაპეს. მათ შემდეგ ნოტაში, რომელიც ლოიდ ჯორჯს წარუდგინეს, აშკარათ აცნობეს მას, რომ ისინი მხოლოდ მოითხოვენ, რომ ურთიერთობის პრინციპი იქნეს დაცული ვალების საკითხში, ესე იგი რომ მათ ამ პრინციპით რამე დაეკლოს ვალებზე. ომის წინანდელი ვალები სავსებით მიიღეს გადასახდელათ, ომის დროის ვალების შემცირება და პროცენტების გადადება მოითხოვეს, ხოლო უცხო მესაკუთრეების ანაზღაურებას ან არენდით თავის ძველი საკუთრების მიცემას დაპირდენ. შემდეგ შეასწორეს: ომის ვალები სულ უნდა იქნეს გაუქმებულიო. ამას გარდა ისინი განსაკუთრებით აწვებიან იურიდიულათ ცნობას და სესხის მიცემას მათთვის ამ ბრძოლის ხანაში გამოირკვა ერთი რამ: ლოიდ ჯორჯი უკიდურესათ დაინტერესებულია თავის პირმშო შეიდლის გენუის კონფერენციის როგორმე რიგიანათ, უმარცხოთ დამთავრებაში და რადგან საფრანგეთის პოზიცია ამ მხრივ მისთვის ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენს და მისი გახრა მას რჩევების მიცემით არ შეუძლია, იგი საფრანგეთს სასტიკ ბრძოლას უცხადებს. იყო მომენტი, სეიდუს კომისიიდან გასვლის შემდეგ, როცა ლოიდ ჯორჯი პირდაპირ იმუქრებოდა: «ინგლისის დემოკრატიას ზავი სურს, და რომელი ჰორიზონტიდანაც უნდა მოდიოდეს ზავის წინადადება, ჩვენ იმას მივემხრობითო» ხოლო ძაფრანგეთს იარაღის ყდარუნში სდებდა ბრალს. საფრანგეთის ყველა ფრეებში ამან დიდი მღელვარება დაბადა, პოლიტიკური სიტყვები წარმოსთქვეს და საფრანგეთის ზავის მოყვარეობას ან ლოიდ ჯორჯის ორმაგ მოკავშირეთა საზიანო პოზიციის წინააღმდეგ პუანკარემ საფრანგეთში და მილიერანმა ბაროკოში, სადაც ის ამ ჟამათ მოგზაურობს. აღსანიშნავია, რომ ინგლისის პრესის ერთი გავლენიანი ნაწილიც («ტაიმსი», «მარნინგ პოსტი» და სხვ.) პუანკარეს პოზიციას უფრო იცავს და ლოიდ ჯორჯს აკრიტიკებს.

მაგრამ საბოლოო კონფლიქტამდე მაინც არ მისულა საქმე. ამ რიგათ მეორე ინცდენტსაც გადაურჩა კონფერენცია.

დადგა მესამე საკითხი: ბოლშევიკებისთვის საერთო მემორანდუმის წაროგენა საბოლოო მოთხოვნებით, რომელთა მიღება მოკავშირეებს აუცილებლათ მიაჩნიათ რუსეთში მუშაობის დასაწყებათ. ამ პირობებს საფუძვლათ დაედვა ინგლისის და საფრანგეთის პროექტები, რომელთა შეთანხმებით იგი იქნა შემუშავებული.

მოგვყავს ამ მემორანდუმის შინაარსი:

იგი მოითხოვს პროპაგანდა-აგიტაციის შეწყვეტას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ და მცირე აზიაში ზავის დამყარებისათვის ხელის შეწყობას სრული ნეიტრალიტეტის დაცვით. ომის წინა ვალების უკლებლივ ცნობას; ომის ვალების ცნობას, რომელიც შეიძლება შემცირებულ იქნეს სხვადასხვა პირობების მიხედვით და გადახდის შეღავათები მიეცეს; აღიარებას თვითმართველობათა და საზოგადოებრივ საჭიროებათათვის აღებულ ვალებისას.

უცხოელთათვის კერძო ქონების დაბრუნებას ან ანაზღაურებას; შერეული სასამართლოს დაარსებას უცხოელთა საქმეების გასარჩევათ.

ამ მემორანდუმს თან ახლავს განცხადება, რომლითაც ევროპის სახელმწიფოები განსაზღვრულ თანხას იღებენ და ვალდებულებას კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლობენ რუსეთის დანგრეულ მეურნეობის აღსადგენათ.

მემორანდუმში არ იქნა შეტანილი შესწორება ბელგიელების რომელნიც მოითხოვდენ კატეგორიულათ უცხოელთათვის საკუთრების დაბრუნებას. ამის გამო ბელგიის წარმომადგენელმა მემორანდუმზე ხელი არ მოაწერა. მას მიემხრო საფრანგეთი და ზოგიერთი მცირე სახელმწიფოებიც. დანარჩენი სახელმწიფოების სახელით იგი მაინც წარედგინა ბოლშევიკებს.

წინააღმდეგობა მოკავშირეებსა და ბოლშევიკებს შორის შემდეგშია:

კომუნისტები ცნობენ ვალს და დანარჩენ დათმობაზეც მიდიან იმ პირობით, რომ ცნობილ იქნეს საბჭოთა მთავრობა და მიეცეს სესხი თვით მთავრობას, უამპირობოთ მათ დათმობა უნაყოფოთ და უმიზნოთ მიაჩნიათ. რუსეთის აღდგენა მათ მთავარ ინტერესს არ შეადგენს. მოკავშირეები კი ამ დათმობებს უპირობოთ მოითხოვენ ეკონომიური ურთიერთობის აღსადგენათ, ხოლო ცნობას და სესხს ცალკე დამოუკიდებელ საკითხათ აყენებენ, რომელიც შემდეგ იქნება განხილული და რომელთაგან ცნობა მაგ. თვითეულ სახელმწიფოს ნებაყოფლობაზეა მიგდებული კანონის გადაწყვეტილებით. ბოლშევიკები მაინც ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ ბევრი რამ მოიგონ, წასაგები ყოველ შემთხვევაში თავნიდან არაფერი აქვთ. დიდათ აფასებენ იმას, რომ გვერდში მოუჯდენ ლოიდ ჯორჯს, რომ იჯენტლმენეს და იტალიის მეფეს ქედმოხრილი ეახლენ, რამაც აქვე შევნიშნავთ ევროპის კომუნისტებში მათ წინააღმდეგ საშინელი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, განსაკუთრებით იტალიელებში; დიდათ აფასებენ გერმანიისგან ცნობასაც და თუ მას აყვა ზოგიერთი პატარა სახელმწიფოები მაინც და შეიძლება იტალია ან ინგლისი—ამით დიდათ კმაყოფილი იქნებიან. მათ არსებობას და რუსეთის ტანჯვას რამდენიმე ხანს ესეც გაახანგრძლივებს და მათაც მეტი ეარა უნდათ რა.

ამ ჟამათ კონფერენციის მუშაობა ამ წერტილზეა შეჩერებული. ბარტუ საფრანგეთში გაემგზავრა თავრობასთან მოსალაპარაკებლათ, პატარა სახელმწიფოები, რომელნიც უფრო სტატისტები არიან, ვინემ მომქმედი პირები—უკმაყოფილებას გამოსთქვამენ და თავის დელეგაციის უმთავრესს წევრებს უკანვე იწვევენ. რა შედეგს მიაღწევს კონფერენცია ამაზე შემდეგ ნომერში.

S. P. საქართველოს საკითხზე გენუაში მკითხველი ცალკე იპოვის ცნობებს ამავე №-ში.



რ.

სვანეთის გარშემო.

ინტერნაციონალში.

საქართველო თავისუფლების ღირსია. და ღირსია მისი ის მთის შვილები, რომელთაც მიუვალ კლდეებში ამართეს საქართველოს წმინდა ალამი, დღეს წითელი იმპერიალისტებისაგან შეურაცხყოფილი.

სვანეთი, რომელმაც ნახევარ წელზე მეტია, იარაღით ხელში მოითხოვეს ის, რაც მთელ ქართველ ერს ასულდგმულებს—რუსის ჯარის გაყვანა საქართველოდან და თავისუფალი არჩევა თავის მთავრობის—დღეს მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობს. პირველ-ყოველისა მათ გამოეხმაურა ევროპის ჩაგრული კლასი პროლეტარიატი და მისი გამოჩენილი ბელადები.

სისხლ მოწყურებულ ბოლშევიკებს, ჯარმა, რომელსაც ნაბრძანები ქონდა გენუის კონფერენციამდე დაეპყრო ეს მთის არწივების ბუდე, იმედი გაუცრუათ: გენუამაც და მთელმა კაცობრიობამ გაიგო ის, რაც მათ სურდათ სისხლის მორევში ჩაემარხათ:

და სვანეთის მებრძოლთ ხმა მისცა ევროპამ.

ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მეორე და ვენის ინტერნაციონალის აღმასრ. კომიტეტების, მათი სეკრეტრების სახელზე.

დეპეშა. ადლერს, მაკდონალდს.

გასულ ზაფხულს დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, სვანეთში, მცხოვრებლებმა გარეკეს რეგკომები და დაამყარეს დემოკრატიული მართველობა. სექტემბერში აჯანყებულ წინააღმდეგ გაგზავნილმა რუსის ჯარები დამარცხებულ იქნენ და სვანეთმა მას შემდეგ შეინარჩუნა თავისუფლება. ნოემბერში აჯანყებულებმა გაუგზავნეს ბოლშევიკურ მთავრობას თბილისში დელეგაცია, რომლის პირითაც მოითხოვდენ საოკუპაციო ჯარების ევაკუაციას და ქართველი ხალხისათვის მთავრობის თავისუფლად არჩევის უფლების აღდგენას. ბოლშევიკებმა უკუაგდეს ეს მოუხოვნილებები, მაშინ სვანებმა გაამაგრეს თავიანთი საზღვრები და დაუკეტეს გზა ბოლშევიკებს. მარტში რუსის ჯარებმა დაიწყეს შეტევა სვანეთის წინააღმდეგ ოთხი მიმართულებით: ორი მიმართულებით ჩრდილოეთიდან (რუსეთის მხრით) და ორი მიმართულებით სამხრეთიდან (ქუთაისის მხრით). ომი გრძელდება ხან ერთის და ხან მეორე მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის წარმატებით, აჯანყება ფართოვდება, ედება აგრეთვე მეზობელ რაიონებს რაჭას და ლეჩხუმს. აჯანყებულებმა, პარლამენტიორების პირით, განაახლეს მოთხოვნილება საქართველოს ოკუპაციის მოხსნის შესახებ და წინადადება მისცეს მტერს ტყვეების გაცვლის შესახებ, აღუთქვეს თითოეულ აჯანყებულში სამი რუსის ჯარისკაცის მიცემა. ოკუპანტები უარს ამბობენ ყოველივე მოლაპარაკებაზე, აგროვებენ ჯარებს დასავლეთ საქართველოში და აორკეცებენ რეპრესიებს მშვიდობიან მცხოვრებლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით გურიის მხარეში. ხალხის აღელვება უკიდურეს წერტილს აღწევს და ეს ბადებს საერთო კატასტროფის საშიშროებას. გთხოვთ საჩქაროთ მიიღოთ ზომები სისხლისღვრის შესაჩერებლად, მოუწოდოთ მოსკოვს დაუყონებლივ შეაჩეროს სამხედრო მოქმედება, ჩამოაგდოს დროებითი ზავი და მიიღოს სამივე ინტერნაციონალების შუამავლობა კონფლიკტის სალიკვიდაციოთ. გთხოვთ დაუყონებლივ დააყენოთ ეს კითხვა ცხრათა კომისიაში.

ნოე ჟორდანია.

ამის პასუხათ მეორე ინტერნაციონალის კომიტეტმა დაუყონებლივ დეპეშით გადასცა მოსკოვს კატეგორიული მოთხოვნილება ამ სამარცხვინო შეტევის შეჩერების, სანამ სადაო საკითხს სამივე ინტერნაციონალების კომისია—9 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც საქართველოს საკითხის დავის შესწავლა ავქს მინდობილი, ამ საგანზე თავის გადაჭრილ აზრს გამოიტანდეს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩვენი მეგობრები მოუთმენლათ ელიან საქართველოს გამარჯვების ამბებს. და მცირედი ცნობაც კი სვანების მიერ რუსის ჯარის ნაწილების დატყვევების იწვევს ამ მშვიდობიანობის მოციქულებში სიხარულს და მილოცვას.

იმდენათ სამართლიანი, უდავოთ სამართლიანია ეს ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომ მას არ შეიძლება სალამით და გამარჯვების სურვილით არ მიეგებოს ყველა, გარდა კომუნისტური მოსყიდული ხალხისა.

გ ე ნ უ ა შ ი.

და მართლაც თვით გენუის კონფერენციაზედაც, სადაც პოლიტიკურ საკითხებს ოფიციალურათ მაინც ადგილი არა აქვს და სადაც საქართველო მიწვეული არაა, ჩვენმა წარმომადგენლებმა მაინც შესძლეს ერთ-ერთ მთავარ კომისიაში, რომელიც რუსეთის საქმეებს იხილავს, სვანეთის საკითხის დაყენება. შვეიცის მთავრობის თავმჯდომარემ, ცნობილმა სოც.-დემოკრატმა ბრანტინგმა და თავისუფალ შვეიცარიის საბჭოს თავმჯდომარემ წამოაყენეს საკითხი სვანეთთან ომის შეჩერების რუსის ჯარის მიერ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა დაუყონებლივ საფრანგეთის მხრივ ბარტუმ, და ინგლისის მხრივ ლოიდ ჯორჯმა. იტალიის საგარეო მინ.

შანცერის წინადადებით ეს კითხვა მიღებულ იქნა ერთსულოვნათ და თვით შანცერს მიენდო სათანადო «ამიკალური» წინადადების წაყენება ჩიჩერინისათვის.

ამ რიგათ აღიარებულ იქნა ერთხელ კიდევ, რომ რუსეთი შემოიჭრა თავისუფალ საქართველოში, რომ იგი იქ დღესაც მხარეა, მებრძოლი, მჩაგვრელი და არა საქართველოს მთავრობა. ბ-ნი მდივანი—მოსკოვის აგენტი და ჩიჩერინი, რომელნიც ორივენი ჩემულობენ საქართველოს წარმომადგენლობას, ამ ფაქტს ვერ ამოშლიან ამიერიდან. საქართველოს იცავს და წარმოადგენს ყველგან მხოლოდ ის მთავრობა, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ წარმოშვა და რომელიც ხალხის ნდობით არის მოსილი.

მოსკოვის წითელმა იმპერიალისტებმა ყველგან და ყოველთვის უნდა აგონ პასუხი ამ უმაგალითო ბოროტებაში, რომელიც ქართველი დემოკრატიული ხალხის დაპყრობაში გამოიხატა და მდივნის შირმა მათ პასუხათ არ გამოდგება.

უკანასკნელ დეპეშის ცნობით ჩიჩერინმა შანცერის წერილზე კატეგორიული უარით უპასუხა, არავითარ შეტაკებებს და ძალმომრეობას საბჭოთა ხელისუფლების მხრივ არ აქვს ადგილი საქართველოშიო.

რა უსირცხვილობაა! რა ფარისევლობაა!

მაგრამ საქართველოს მებრძოლი შვილები არ შეუშინდებიან ამ უსვინდისო ჭორიკანებს, არ დაყრიან იარაღს, სანამ სამართლიანობა, ნათელი მთელი ქვეყნისათვის, გამარჯვებით არ გასხივოსნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება და საქართველო.

«ფორვერტსის» გენუელი კორესპონდენტი ატყობინებს თავის გაზეთს, რომ მან სპეციალურად ინახულა გერმანიის ერთი პოლიტიკური მოღვაწეთაგანი, რომელიც მთავარი ავტორთაგანია რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების, რათა გამოერკვია ხელშეკრულების დამოკიდებულება საქართველოს საკითხისადმი. აღნიშნულმა მოღვაწემ გადაჭრით განუცხადა კორესპოდენტს: ეს ხელშეკრულება სრულიად არ ეხება და ვერც შეცვლის გერმანიის პოზიციას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ხელშეკრულების ვალდებულებანი ეხებიან მხოლოდ გერმანიის და რუსეთის ურთიერთობას და არ ვრცელდებიან იმ სახელმწიფოებზე, რომელნიც რუსეთს გამოეყვენ ან მომავალში გამოეყოფიან.

ცხადია, ამით აიხსნება საქართველოს კომუნისტების გაწიწმატება და 24 აპრილის დეპეშა*), რომელსაც მიზნათ აქვს ერთგვარი შანტაჟით აიძულონ გერმანია მათ ჩადენილ ბოროტების მონაწილე და კვერის დამკვრელნი გახდეს.

---

*) გერმანიის დამოუკიდებელ ს.-დემ. პარტიის ცენტრალური ორგანო, «ფრაიჰაიტ», ათავსებს შემდეგ დეპეშას მოსკოვიდან:

«მოსკოვი, 24 აპრილი. «საქართველოს მთავრობამ (ბოლშევიკურმა. რედ.) მიმართა გერმანიის მთავრობას ნოტით, რომელშიაც უცხადებს მას, რომ ის იძულებულია საქართველოში მცხოვრები გერმანიის მოქალაქენი აიძულოს წავიდენ საქართველოდან, ვინაიდან გერმანიის მთავრობამ უყურადღებოთ და უპასუხოთ დასტოვა არა ერთხელ განმეორებული წინადადება საქართველოსთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამის გამო გერმანიის რწმუნებულს მოსკოვში, ბ-ნ ვიდენფელს, ქონდა ლაპარაკი ჩიჩერინის მოადგილე კარახანთან, რომელმაც მას შესთავაზა საბჭოთა მთავრობის შუამდგომლობა გერმანიასა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების საქმეში».

ევროპის პრესა საქარ. შესახებ

დეპუტატი ერნესტ უტრეი კავკასიის და საქართ. საკითხის შესახებ.

გაზეთ «ეხო დე პარი»-ში მოთავსებულია გავლენიან ფრანგ დეპუტატის ერნესტ უტრეის საინტერესო წერილი სათაურით: «ნავთის პრობლემა—გენუის კონფერენცია და კავკასიის სახელმწიფონი».

«საფრანგეთის პარლამენტში დებატების დროს, მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა რომ კავკასიის სახელმწიფონი არ იქნებიან მოწვეულნი გენუის კონფერენციაზედ, რადგან ეს სახელმწიფონი ევროპაში არ არიან მოქცეულნი. მთავრობის თავმჯდომარემ აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოების, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ კავკასიის სახელმწიფოთა ყალბ წარმომადგენლების პრეტენზია გენუაში დაშვებისათვის, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

საფრანგეთის მიერ საკითხი ნათლათ არის გარკვეული; საჭიროა რომ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში მტკიცე და ურყევი იქნეს.

არ უნდა დავივიწყოთ რომ ჩვენ განვიცდით ეკონომიური ბრძოლის მეტად მძიმე პერიოდს და ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე. ჩვენ გვახსოვს თუ რა დიდი როლი ითამაშა «ნავთის ფაქტორმა» განვლილი ომის უკანასკნელ თვეებში და არა ნაკლებ როლს თამაშობს იგი მშვიდობიან დროსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე ეპოქის განვითარებულ მაშინიზმსა და ინდუსტრიას.

ეს გარემოება, როგორც სჩანს, სავსებით დააფასა საბჭოთა მთავრობამ, რომ უმნიშვნელო მიზეზის გამო თავს დაესხა დამოუკიდებელ და თვით საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობილ კავკასის რესპუბლიკათ და 1921 წლის იანვარ-თებერვალში თავისი მრავალრიცხოვანი ჯარების საშუალებით დაიპყრო.

ხიშტებზე დაყრთნობილი ძალის მეოხებით, კავკასია და საქართველო გახადეს რა საბჭოთა ფედერაციის წევრებათ, დაუყონებლივ გაავრცელეს მაზედ კომუნისტური რუსეთის ყველა კანონები და დეკრეტები და ნავთის უძვირფასეს მადნეულობას მოსკოვის მთავრობამ ნაციონალიზაცია უყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, რომ ლორდ კერზონმა მიიღო კანში პირობა, რომლის მიხედვით, გენუის კონფერენციაზედ არ იქნება აღძრული კამათი იქ წარმოდგენილ ქვეყნების შინაური საქმეების შესახებ—ეს ისას ნიშნავს, რომ იქ არ შეეხებიან რუსეთის და კავკასიის საკითხს და იმ პირობებს, რომლებშიც ანხორციელებს დამპყრობელი რუსეთი თავის კომუნისტურ კანონმდებლობას; თუ არ იქნება აღძრული საკითხი იმის შესახებ თუ რამდენათ კანონიერია საბჭოების მიერ კავკასიის დაპყრობა, ეს იქნება გაგებული როგორც შერიგება და დადასტურება ნავთის მადნეულობის ნაციონალიზაციის კანონიერებისა წითელი ჯარების მიერ.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საბჭოებმა პირობა დასდვეს ინგლისის ნავთის მრეწველთა ერთ ჯგუფთან, რომლის მიხედვით მოსკოვის ვაჭბატონები ბრიტანეთის ნავთის გამყიდველთა სინდიკატს აძლევენ უპირატესობას ნავთის წარმოების საქმეში.

ჩვენ ვიღებთ თავზე სითამამეს განვაცხადოთ, რომ წითელი რუსეთი იქცევა კავკასიაში, როგორც უზურპატორი, ხოლო ამ სახელმწიფოთ უნდა ანგარიში გაუწიოთ როგორც დამოუკიდებელ ქვეყნებს და მათი უფლების საერთაშორისო ცნობით უზრუნველყოთ ის პირობები, კერძო პირთა, ისე დიდი კომპანიების, რომელნიც წინათ მიღებულნი ქონდათ ამ ქვეყნებში ფრანგებს, ბელგიელებს და თვით ინგლისელებს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს განცხადება შეაჩერებს ამ მცვლელველი სინდიკატების წადილს უსირცხვილო საშუალებით ჩაიგდონ ხელში კავკასიის ნავთი.

ბ-ნმა პუანკარემ განაცხადა რომ, რუსეთს არ მიეცემა უფლება წარმოადგინოს გენუაში კავკასიის ფსევდო-დელეგატები. ძალიან კარგი! მაგრამ ეს არ არის საკმარისი—კავკასიის საკითხი უნდა დაისვას გენუის კონფერენციაზე. —თუ ეს არ იქნა უდიდესი და უძვირფასესი წარმოებანი ბაქოს და გროზნის რაიონისა რომელნიც ჩამორთმეული აქვთ მათ კანონიერ მესაკუთრეთ და საბჭოების ხელში იმყოფებიან, ისევ მათ დარჩებათ და ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისათვის.»

საქართველო? სომხეთი?

ამ სათაურით გაზეთი «სვის» («შვეიცარია») 21 აპრილის №-ში მეთაურ წერილს უძღვნის გენუის კონფერენციას და აღნიშნავს რა შესაძლებლობას რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენისას სწერს:

«რუსეთის დელეგატები, უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს აცხადებენ, რომ რუსეთის დელეგაცია «წარმოადგენს აგრეთვე შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესებს: უკრაინის, საქართველოს და აზერბეიჯანის». ბ-ნმა რაკოვსკიმ სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი: «ყოველი წარმომადგენელი რომელიმე საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკისა ერთსა და იმავე დროს არის წარმომადგენელი როგორც საკუთარის, ისე ცენტრალური მთავრობისა. უკრაინა, ისევე როგორც საქართველო, სომხეთი და სხვა პატარა ქვეყნები—ავტონომიური რესპუბლიკებია, შეკავშირებულნი მოსკოვის ცენტრალური მთავრობის გარშემო, რომელიც ხელმძღვანელობს და მართავს რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას».

სხვანაირათ რომ ვსთქვათ, საბჭოთა რუსეთი უარს აცხადებს რა იმ სახელმწიფოთა ცნობაზე, რომელნიც მას ჩამოსცილდენ მეფის დროის ტერორისა და ბოლშევიკების დიქტატურის გამო, ახალ ფორმებში ასხამს რუსეთის იმპერიალიზმის ძველ გეგმებს.

ჩვენს წინ სდევს ერთი ამაღელვებელი მიმართვა, აღნიშნული 29 მარტის თარიღით, სათაურით: «ვინ ლაპარაკობს ქართველი ხალხის სახელით» და ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას და დამფუძნ. კრების თავმჯდომარის ნ. ჩხეიძის მიერ. რომელიც ნათლად გვიმტკიცებს, რომ ესრედ წოდებული «საბჭოთა საქართველოს მთავრობა» შესდგება ერთი მუჭა უზურპატორთაგან, რომელნიც რუსის ჯარს მოჰყვენ ამ ქვეყანაში, მისი საშუალებით ხელთ იგდეს ძალა-უფლება და ტერორის ქვეშ ხელისუფლობენ.

საქართველოს საბჭოები, რომელსაც წარმომადგენლობს ბოლშევიკური დელეგაცია გენუაში, შედგენილ იქნენ საოკუპაციო მართველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან, გარეშე ქართველი ხალხის მონაწილეობისა—იგი «არჩეულ» იქნა რუსის ჯარისკაცების, მოხელეების და საერთოდ, უცხო ელემენტის მიერ და მისი პრეზიდიუმი შესდგება საოკუპაციო მთავრობის წევრთა და სხვა მაღალ მოხელეთაგან, მათს შორის ვერ ნახავთ ქართველ მუშას, გლეხს ან ჯარის-კაცს—აცხადებენ ქორდანია და ჩხეიძე—«ყველა ეს ვაჭპატონები მოსკოვის მთავრობის დაქირავებული აგენტებია».

და ჩვენ დაუმატებთ ზემოთ მოყვანილ ცნობებს ბოლშევიკების შესახებ, რომ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ მათ მიაყარეს მოსკოვის ჯარები, ააწიოკეს ქვეყანა, საუკეთესო ქართველი მოქალაქეებით აავსეს ციხეები და ვენ გვაქვს უფლება ვიკითხოთ: ნუ თუ გენუის კონფერენცია დააკანონებს ამ ბოროტმოქმედებას, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ?

და ასეთივე საკითხი ისმება სომხეთის შესახებ. ჩვენ ვიცით რომ გენუის კონფერენცია შეიძლება დასრულდეს რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა შეთანხმებით; ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის, რომ იმ მძიმე ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლისათვის, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ყოველგვარი დაბრკოლებანი უნდა გადავლახოთ და ბევრი რამ, რისი დათმობაც ძნელია დავთმობთ—ეს ჩვენ კარგათ გვესმის, მაგრამ არის ერთი რამ, რასაც ჩვენ ვერასოდეს შეურიგდებით:

რომ რომელიმე მთავრობამ გასწიროს დამოუკიდებლობა პატარა ქვეყნისა და თავისუფლება მის მოქალაქეთა მისთვის, რომ მის მტარვალთაგან ესა თუ ის ეკონომიური ხასიათის მოგება შეიძინოს.

„ჟურნალ დე დება“ საქართ. შესახებ.

«ჟურნალ დე დება» (პარიჟში) 13 აპრილს მეთაურ წერილში ეხება რა გენუის კონფერენციის პირველ სხდომებს, სხვათა შორის სწერს:

«ვიდრე საბჭოებს გენუაში მოიწვევდენ, მათთვის უნდა მოეთხოვათ ჯარების გაყვანა საქართველოს რესპუბლიკიდან, რომელსაც მათ ძალით აქვთ დაპყრობილი, მაშინ ან ზომას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო, რომ ისეთი მოთხოვნილება წარედგინოს ბ. ჩიჩერინს.

საქართველო სახელმწიფოა, რომელიც ცნობილია ფაქტიურად და ირიდიულათ, ხოლო საბჭოები ძალმომრეობის აქტს სჩადიან როცა, ამ ქვეყანას ჯარის ურდოებით ფლობენ, ხალხის სურვილის წინააღმდეგ. მაგრამ მათ, გადალახეს რა სირცხვილის ყოველივე საზღვარი, თავისი ხიშტების საშვალებით მოახდინეს სიმულაცია საბჭოების არჩევნებისაც და თფილისში თვით საოკუპაციო ჯარს აარჩევიეს 99 წარმომადგენელი (351 წევრიდან) ასეთი წესით არჩეულმა საბჭომ დაადგინა რუსეთის ჯარის საქართველოში დატოვება, და საოკუპაციო ჯარის რუსი «სალდათები», საქართველოს გლეხთა და მუშათა მიერ «ნაშვილებად» გამოაცხადა!

აი როგორ ესმის საბჭოებს მშვიდობიანობა და ერთა დამოუკიდებლობა!

გენუის კონფერენციას საუკეთესო საშუალება ეძლევა მოაგონოს მათ, რას ნიშნავს სირცხვილი!»

საქართველო და ევროპა.

ბელგია და საქართველო.

(წერეთელი ბელგიის მუშ. პარტ. კონგრეს)

ბრიუსელში გასულ აღდგომებზე ბელგიის მუშათა წლიური ყრილობის წინ გაიმართა მიტინგი ბრიუსელის სახალხო სახლში. სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, მათ შორის ირ. წერეთელმა, რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე კრება განსაკუთრებული ენტუზიაზმით და ხანგრძლივი ტაშისცემით შეეგება.

მოგვყავს აქ მისი სიტყვის შინაარსი:

წერეთელმა აღნიშნა, თუ რა დიდი ძალა და ენერგია შემატა ქართველ ხალხს იმ მხურვალე თანაგრძნობამ და დაცვამ, რომელიც ბელგიის სოციალის. მუშათა პარტიამ აღმოუჩინა მას. მაშინ როცა ოფიციალური ევროპა ინდიფერენტულათ უცქეროდა იმ ბოროტებას, რომელსაც საქართველოზე თავდასხმა წარმოადგენს, საერთაშორისო ინტერნაციონალს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია საშვალების გამოძებნა ჩვენი სიმართლისათვის გამარჯვების მოსაპოებლათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბერლინის უკანასკნელმა კონფერენციამაც ამ საკითხს მოანდომა უმეტესი ნაწილი თავის მუშაობის.

შემდეგ წერეთელმა დაარღვია ყველა ის ოდიოზური ბრალდებები, რომელიც წამოყენებული იყო ბოლშევიკების მიერ ამ პირველი სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. დოკუმენტები, რომელნიც ბოლშევიკებმა წამოგვაყვედრეს ამ კონფერენციაზე, იმ მიზნით, რომ დაემტკიცებიათ თითქოს საქართველოს მთავრობა შეთანხმებული ყოფილიყოს კონტრ-რევოლიუციონერებთან, გამოქვეყნებული იყო ჩვენგანვე ორი წლით ადრე საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადებამდე, და ბოლშევიკების ჯარები კი სწორეთ ხელშეკრულების დადების შემდეგ შემოიჭრენ საქართველოში.

თავდასხმის პირველ დღეებშივე საქართველოს მთავრობამ მოსთხოვა მოსკოვს შეეტყობინებინა მისთვის მიზანი ამ აგრესიული მოქმედების, მაგრამ ამაოთ. მთავრობამ აცნობა აგრეთვე, რომ ის მზათაა მოლაპარაკება დაიწყოს.

დაფარული, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამ ქურდული თავდასხმის იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სოციალისტურ მთავრობას, რევოლიუციის ქარცეცხლში შობილს, არ სურდა «რუსული» დიქტატურისათვის მიემართა და გადაჭრით დარჩა ერთგული დემოკრატიული პრინციპების.

აი ნამდვილი მიზეზი საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებული სიძულვილის საქართველოს მიმართ.

საბჭოთა მთავრობამ ზავი ჩამოაგდო მხოლოდ იმ მიზნით, რომ უფლება ქონოდა თავის ოფიციალური წარმომადგენლების გამოგზავნის სოციალისტური მთავრობის თვალის ასახვევად და ჩამოგდების გასაადვილებლათ. და რადგან ეს შინაგანმა მათმა ინტრიგებმა სისტემატიური დამარცხება განიცადეს, ბოლშევიკებმა საბოლოოთ გადაწყვიტეს უხეში ძალადობისთვის მიემართათ.

დღეს ქართველი ხალხი ინტერნაციონალის დაპირებულ დახმარებაში ხედავს თავის ხსნას. და ქართველი სოციალისტები სრული იმედით უცდიან იმ განაჩენს, რომელიც მან ახლო მომავალში უნდა გამოიტანოს. თავის განთავისუფლების იმედებს ის ამყარებს იმ სოლიდარობაზე, რომელიც მას ყველა დაჩაგრულ ხალხებთან აკავშირებს.

სიტყვის დასასრულ ორატორი მიესალმა ბელგიის მუშათა პარტიას, როგორც ქართველი ხალხის უმხურვალეს დამცველს.

კრებამ ხელახლა გრძნობიერი ოვაციები გაუმართა დაჩაგრულ საქართველოს წარმომადგენელს.

იგივე ბრიუსელელი «პეპლი», რომლიდანაც ჩვენ ირ. წერეთლის სიტყვა მოვიყვანეთ, აღნიშნავს, რომ საქართველოს სოც.-დემ პარტიის წარმომადგენელის გამოჩენამ ბელგიის მუშათა პარტიის სხდომაზე განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია. «პეპლი» სწერს: პრესის შესახებ კამათის დროს «დარბაზში შემოდის წერეთელი და ადგილს იჭერს პრეზიდიუმში. დებრიუკერმა (კრების თავმჯდომარე) წარუდგინა წერეთელი კონგრესს. ინტერნაციონალის ყველა ერთა შორის, სთქვა მან, თქვენი დაჩაგრული ერი ყველაზე უფრო ახლო და ძვირფასია ბელგიის მუშათა კლასისათვისო. დებრიუკერის სიტყვები კონგრესმა მხურვალე აპლოდისმენტებით დაჰფარა.

ს. ჯაბლაძის გარდაცვალების გამო.

ევროპის სოციალისტური პრესა დიდი ყურადღებით გამოეხმაურა საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის მხცოვანი ბელადის ტრაღიკულ გარდაცვალებას. «თავისუფალმა საფრანგეთმა», «ფორვერტსმა», «ფრაიჰაიტმა», «პოპულერმა», რუსეთის მენშევ. ჟურ. «სოც. ვესტნიკ»-მა და მრავალმა სხვა გაზეთებმა წერილები უძღვნეს განსვენებულის ხსოვნას და და მისი სურათები დაბეჭდეს, ევროპის სოციალისტური პრესა ერთსულოვან აღშფოთებას გამოსთქვამს წითელი ჯალათების ბარბაროსულ მოპყრობის გამო მოხუც სილიბისტროს მიმართ.

ვერმანია და საქართველო.

(კარძო წერილიდან)

«11 აპრილს აქ შესდგა მეუმრავლესე მუშათა (შეიდემანელების) წარმომადგენელების კრება. მე და ჩემმა ამხანაგმა უთხარით რომ ქართველები ვიყავით, მაშინვე შეგვიშვეს და წინა რიგში დაგვაჯდინეს. მოხსენება გააკეთა ველსმა ინტერნაციონალების წარმომადგენელთა კრე-

ბის მუშაობაზე. ილაპარაკა სამი საათი. აქედან ერთი საათი მოანდომა ჩვენი კითხვის დახასიათებას. ჩვენს კითხვას კრება დიდი ინტერესით ეკიდებოდა. კრების დასასრულ რეზოლიუცია მიიღეს: «ამხანაგი ველსის მოხსენება იმდენათ ნათელი და სწორია, რომ კამათ საჭიროდ არ მიგვაჩნია, ერთხმად ვიწონებთ მეორე ინტერნაციონალის პოზიციასო.

საინტერესოა როგორ სცოდნიათ აქ მუშათა კრებები: დიდი ზალა იყო წინ სცენით. მთელი ეს ზალა მოვსებულია პატარა სტოლებით. თითო სტოლს უდგია ოთხ-ოთხი სელის სკამი, შემოუსხდებიან ოთხ-ოთხი კაცი, ვისაც სურს მოატანინებენ ლუდს, ნელ-ნელ სვამენ და თანაც ისმენენ. შორი უბნებიდან მოვიდენ ველოსიპედებით, ზალაში ველოსიპედების გასაჩერებელი ადგილიც არის. ყველას აცვია გახამებული პერანგები ხოლო ძალიან ბევრს საგაზაფხულო პერჩატკებიც. ტაშს ისე იაფათ არ უკრავენ როგორც ჩვენში. კრების გახსნამდე ველსი ზალაში დადიოდა და მუშებს ესაუბრებოდა. კრების გახსნას ჩუმათ შეხვდენ. გათავებისას კი დაუკრეს ტაში. მომხსენებელმა სამი საათი ილაპარაკა შეუჩერებლივ.

ძალიან სასიხარულო იყო როცა ველსი ჩვენზე ლაპარაკობდა. ეხლა კრების მონაწილენი თავთავის რაიონებში აკეთებენ მოხსენებებს და ჩქარა ჩვენი კითხვა ბერლინის მუშათა დიდ უმრავლესობას ისე ეცოდინება, როგორც ამ წარმომადგენლებმა იციან. პატარა ხალხი ვართ და ვაი თუ დიდი ტანჯვა დიდხანს ფიზიკურათ ვერ გადავიტანოთ, თორემ თუ მუშათა კლასს საერთოთ დაღუპვა არ უწერია, კი შეიძლება იმედი იქონიო კაცმა იმ უფსკრულიდან ამოთრევაზე, რომელშიდაც ასე უაზროთ მოვექეცით.»

სადაო საკითხზე.

რადგან სწორე და შემცდარი პოლიტიკის გარჩევა მხოლოდ შედეგებით შეიძლება, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველომ ვერ შეათანაბრა თავისი ეკონომიური, გონებრივი და ფიზიკური თვისებანი და ძალა ვერც ერთიერთმანეთს—შინაგან ცხოვრებაში და ვერც ობიექტიურ პირობებს, ე. ი. მახლობელი და შორეული ქვეყნების სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ამიტომ დამარცხდა და უხეში რუსული ქუსლის სანავარდო გახდა. დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა, პირველსავე დეკლარაციაში და უკანასკნელ დღემდე, როცა მისი სუვერენობის მატარებელმა მთავრობამ დასტოვა ბათუმი,—საქართველო ოფიციალურად მუდამ ნეიტრალური იყო და ისიც საკმაოდ შეუიარაღებელი. ასეთმა პოლიტიკამ ვერ აგვაცდინა გაუთავებელი ომები და წელშიაც ადვილად გაგვტეხა. საერთო და საერთაშორისო კატაკლიზმის დროს ჩვენ გვინდოდა «უმანკოებაც დაგვეცვა და კაპიტალიც შეგვეძინა»; ვერც ერთი,—ვერც მახლობელი და ვერც შორეული სახელმწიფო ვერ დავიმეგობრეთ და ამიტომ რუსეთის ბარბაროსების შემოსევის დროს სრულიად განმარტოებულნი დავრჩით. ასეთი «ბრწყინვალე იზოლიაცია» ინგლისსაც არ გაახარებდა, მთელი მისი სიძლიერის პატრონს და ჩვენ კი ეს ვიკისრეთ ჩვენი პატარა ძალებით.

საუბედუროდ, მთელი წლის გადმოხვეწის შემდეგ, ჩვენ რეალურად თითქმის იმავე მიამიტობის გზაზედ ვდგევართ და დრო კი არის საფუძვლიანად დაირღვეს ეს ქრისტიანიზმი პოლიტიკაში. დრო არის მარტო თეორეტიულად კი არა, პრაქტიკულად შევურიგდეთ იმ აზრს, რომ სამართლიანობაზე, ძმობა-ერთობაზე და ამგვარ პრინციპებზე მაღლა, დღესდღეისობითა, სდგას—მშრალი ინტერესი და დაუმტკიცოთ იმათ, ვინც თანაგვიგრძნობს სიტყვით და კომპლიმენტებით საქართველოს სილამაზეზედ და მის ლამაზ ქალებზედ, რომ საქართველოს აქვს სიმდიდრეც და ძალოვანი ვაჟკაცობაც. უნდა იცოდეს ჩვენმა მომავალმა მეგობარმა, უახლოესმა, რომ ჩვენ, გარდა პასიური საექსპლოატაციო, საეკონომიო წონისა, წარმოვადგენთ ცოცხალ ძალას, რომლის შეიარაღებული მნიშვნელობა და წონა საკმაოდ ღირსეული დასაყრდნობი იქნება. საქართველომ თავისი ორიათასი წლის ისტორიით დაამტკიცა არა მარტო კულტურული, არამედ ფიზიკური ცხოველმყოფელობაც და ევროპის სახელმწიფო არ შეიძლება დღეს მივიზიდოთ მარტო პასიური შეთავაზებით, არამედ აქტიურად ჩვენი ძალების დახმარებით საერთო ინტერესებისათვის. მოკლედ, ჩვენ უნდა დავარღვიოთ ნეიტრალობა, რომ ჩვენი კერძო ინტერესი გახდეს ჩვენი მეგობრის რეალურ და მახლობელ ინტერესად.

რემა.

ბერლინის კონფერენციის ირგვლივ.

საკმარისი იყო სამი კვირა ბერლინის კონფერენციის დასრულების შემდეგ, რომ გამორკვეულიყო მისი პრაქტიკული შედეგების უმნიშვნელობა.

აღვნიშნოთ ფაქტები.

იმ ცხრათა კომისიას, რომლის შედგენას გულისხმობს ბერლინის დადგენილება, უპირველესად უნდა ეცადნა საერთაშორისო საპრო ესიო ფრონტის გასაერთიანებლად გაემართა მოლაპარაკება ამსტერდამის და ეგრეთ წოდებულ წითელ (მოსკოვის) პროფესიონალურ ინტერნაციონალების წარმომადგენელთა შორის. დღეს უკვე აშკარაა, რომ ასეთი ცდა ფუჭი იქნებოდა. აპრილის შუა რიცხვებში ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარემ ედო �იმენმა განაცხადა, რომ უდიდესი საერთაშორისო პროფესიონალური ორგანიზაცია წინააღმდეგია რაიმე ლაპარაკი გამართოს «მოსკოვის ეაქტ ტონებთან» (ფიმენის სიტყვებია). ამის შემდეგ (აპრილის დამლევს) გაიმართა რომში ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი, რომელზედაც სხვადასხვა დელეგატებმა ბიუროს დაუსვეს საკითხი—მართალია თუ არა თითქოს ბიუროს დელეგატები დაენიშნოს მოსკოველებთან მოსალაპარაკებლათო. ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა იმავე ფიმენმა: «ჩვენ გაიუცხადეთ, რომ მზათა ვართ რუსეთის ნამდვილ პროლეტარებთან ერთად ვიბრძოლოთ, მაგრამ არას შემთხვევაში ე. წ. წითელი საერთაშორისო პროლეტარიატის წარმომადგენლებთანო». ბერლინის კონფერენციის რეზოლიუციის შესახებ ფიმენმა სთქვა: «ეს რეზოლიუცია ჩვენთვის სავალდებულო არ არის. ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ვართ ერთად-ერთი, ნამდვილი მუშათა ინტერნაციონალი, რომლის სიმტკიცე ვერ შეარღვია ვერც მარცხნიდან და ვერც მარჯვნიდან თავდასხმამო». კონგრესმა ბიუროს საერთო მოხსენებასთან ერთად ეს განცხადებებიც დაადასტურა. მკითხველმა იცის, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი მართლაც უძლიერესი მუშათა ორგანიზაციაა მთელს დედამიწაზე, რომელსაც 25 მილიონი პროლეტარი ემორება და რომლის სიძლიერე ვერ შეარყია კომუნისტების 3 წლის გამთიშავმა მუშაობამ ევროპაში. უამსტერდამოთ გაერთიანებულ საერთაშორისო პროლეტარულ ფრონტზე ლაპარაკი თავის მოტეხა იქნებოდა.

მაგრამ არც პროლეტარიატის პოლიტიკური ორგანიზაციები ეკიდებიან მეტის ხალისით ბერლინის რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარებას. მეორე დიდი პრაქტიკული საქმე, რომელიც დაავალა ცხრათა კომისიას ბერლინის რეზოლიუციამ, არის ყველა ქვეყნებში საერთო პროლეტარულ დემონსტრაციების გამართვა გენუის კონფერენციის მუშაობის დროს. ევროპის ორ უმთავრეს ქვეყანაში ჩაიშალა საერთო დემონსტრაცია. გერმანიის მეუმრავლესებმა, რომელთაც ემხრობა ორჯერ თუ სამჯერ მეტი მუშა ვინემ დამოუკიდებელ სოციალისტებს და კომუნისტებს ერთად, უარი სთქვეს კომუნისტებთან საერთო გამოსვლაზე. მათ განაცხადეს—რომ მხოლოდ მაშინ გამოვლენ კომუნისტებთან ერთად სადემონსტრაციოდ, როცა ბოლშევიკურ ქვეყნებში ციხეში მჯდომ სოციალისტებსაც შეძლება მიეცემათ თავისუფლად გამართონ დემონსტრაციებიო. მიუხედავათ ამისა დამოუკიდებლებმა და კომუნისტებმა გერმანიაში 20 აპრილს გამართეს საერთო დემონსტრაციები, რომლებშიაც, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით, მუშათა მცირე რიცხვმა მიიღო მონაწილეობა (ბერლინში მხოლოდ 50,000-მდე).

მეორე მხრით, ევროპის უდიდესმა კომუნისტურმა პარტიამ, საფრანგეთისამ, თავის სპეციალურად მოწვეულ პარტიულ კონფერენციაზე, ამ დღეებში (აპრილის დამლევს) დიდის უმრავლესობით (3,000-ზე მეტი 600-ის წინააღმდეგ) მიიღო დადგენილება საზოგადოთ გაერთიანებულ ფრონტის და კერძოთ სოციალისტურ პარტიასთან ერთად დემონსტრაციის გამართვის წინააღმდეგ.

საერთო დემონსტრაციები საერთო ლოზუნგებით, როგორც ამას ბერლინის რეზოლიუცია მოითხოვს, მოხდა მხოლოდ ავსტრიაში, შეიძლება მოხდეს ბელგიაში, ინგლისში, სკანდინავიის ქვეყნებში. მაგრამ ეს ხომ სწორედ ის ქვეყნებია, საცა პროლეტარიატი ისედაც გაერთიანებულია, რადგან აქ კომუნისტები თითქმის არარაობას წარმოადგენენ. ამ დემონსტრაციებს მოქიშპე ორგანიზაციების გაერთიანების საქმისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და არ ექნება. სწორედ იქ, საცა აზრი ექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა გაერთიანებულ მოქმედებას, როგორც გერმანიაში და საფრანგეთში, დემონსტრაციის საქმეშიაც კი ვერ მიაღწიეს შეთანხმებას.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ახლო მომავალში შეუძლებელია ნამდვილად გაერთიანებულ პროლეტარულ ფრონტის შექმნა მესამე ინტერნაციონალთან. და განა ბოლოს და ბოლოს ამასვე არ მოწმობს ბერლინის მოლაპარაკების მსვლელობა? განა ამასვე არ ამტკიცებს თვით ბერლინის საერთო რეზოლიუცია თანდაყოლილი კერძო განცხადებებით? «თავ. საქ.»-ს წინა ნომერში მოკვანილ ანგარიშიდან მკითხველი დაინახავდა რამდენად შეურიგებელია ის ორი მთავარი პოზიცია, რომელიც ბერლინში ერთი-მეორეს დაუპირდაპირდა. როცა ორი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლების სიტყვებს ეცნობი, ხედავ, რომ რეალური, არსებითი შეთანხმება მათ შორის შეუძლებელია. რეზოლიუცია თითქოს კომპრომისს წარმოადგენს ამ ორ ბანაკთა შორის. მაგრამ ის სეპარატიული განცხადებები, რომელიც სამივე ინტერნაციონალების წარმომადგენლებმა თან დაურთეს საერთო რეზოლიუციას, ამ კომპრომისს თითქმის სავსებით აბათილებენ და მოწმობენ, რომ ორივე უკიდურესმა ფრთამ, განსაკუთრებით კი მეორე ინტერნაციონალმა, ისევ წინანდელი, შეურიგებელი პოზიციები შეინარჩუნეს. და ეს, ჩვენის აზრით, სრულიად ბუნებრივია: ვერავითარი მოლაპარაკება, ვერავითარი შეთანხმება ვერ გადაჭრის იმ ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც ერთმანეთს აშორებს მეორე და მესამე ინტერნაციონალებს. ასეთი წინააღმდეგობის მსაჯულია ცხოვრების გამოცდილება. ორივე მხარის მეთოდების ასეთი რეალური გასამართლება დიდი ხანია დაიწყო და ამ გამოცდილების წყალობითაა, რომ ევროპის მუშათა მასები თანდათან იკურნებიან კომუნიზმის პსიხოზისაგან. ეს განკურნების პროცესი აუცილებლად უნდა დასრულდეს. მას ვერ შეაჩერებს ვერავითარი მოლაპარაკება და კომუნისტებთან საერთო ფრონტზე ოცნება. ბერლინის რეზოლიუცია ხელოვნურად შეკოწიწებული, ნაძალადევი «შეთანხმებაა» და რა გასაკვირია, რომ სინამდვილემ მეორე დღესვე გამო

ქოს საქართველო მოსკოვს კი არ დაეპყრას, არამედ იქ შინაური გადატრიალება მომხდარიყოს. ბერლინის კონფერენციაზე კი მოსკოვის ოფიციალური დელეგატი აშკარად აღიარებს, რომ მოსკოვმა საქართველო ძალით დაიპყრო, და რომ მან ეს დაპყრობა მოახდინა არა ქართველი პროლეტარიატის ინტერესებისათვის, არამედ იმავე მიზნისათვის, რომელსაც ყოველივე იმპერიალისტური დაპყრობა ემსახურება: მან ქართველი ხალხი მსხვერპლად შესწირა რუსეთის ეკონომიურ ინტერესებს ბაქოში. «ბაქოს ნავთი ესაჭიროება არა მარტო პატარა საქართველოს ერს, არამედ რუსეთის დიდ ერსაცო»—აი ერთად ერთი მოსაზრება, რომელიც რადეკმა მოიყვანა საქართველოს ოკუპაციის გასამართლებლად!

მთელი წლის განმავლობაში მოსკოვის მთავრობა უარს ამბობდა იმ წინადადებებზე, რომელიც საქართველოს სოც.-დემოკრატიამ წამოაყენა გასული წლის 10 აპრილის თავის რეზოლიუციაში (თფილისში), რომ საქართველოს საკითხი გაერკვია სამივე სოციალისტურ მიმართულების წარმომადგენელთაგან შემდგარ შერეულ კომისიას; მოსკოვი გადაჭრით უარს ამბობდა სოციალისტურ ინტერვენციაზე, საქართველოს საკითხის სადაო საკითხათ აღიარებაზე. ბერლინში კი მოსკოვის წარმომადგენლებმა ეს პოზიციაც დასთმეს, დასთანხმდენ შერეულ სოციალისტურ საანკეტო კომისიას და ამით მათ აღიარეს საქართველოს საკითხი სადაო საკითხათ, დაუშვეს სოციალისტური ინტერვენციას უწოდებენ.

მესამე დიდი და შეიძლება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დამარცხება მოსკოვისა მდგომარეობს იმაში, რომ ვენის ინტერნაციონალის მომხრე პარტიები, რომლებიც საქართველოს დაპყრობის შესახებ აქამდე კიდევ რამდენიმეთ ყოყმანობდენ და ორჭოფ პოზიციას ადგენ, ბერლინის კონფერენციაზე ჩვენს საკითხში გადაჭრით მიემხრენ მეორე ინტერნაციონალს. «საქართველოს საკითხში ჩვენ მეორე ინტერნაციონალთან ვართო», განაცხადა ვენელების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ოტო ბაუერმა. ამნაირად, საქართველოს საკითხში კომუნისტები დღეს სრულიად განმარტოებულნი არიან.

ერთის წლის ბრძოლამ, რომელიც საქართველოს გარშემო სწარმოებდა ევროპაში, ხელი ააღებია მოსკოვს მთავარ პოზიციებზე, იძულებული გახადა ის თვითვე აღიარებია თავისი დამარცხება და შექმნა მის წინააღმდეგ ევროპაში ნამდვილი გაერთიანებული სოციალისტური ფრონტი.

ამ ფაქტების მნიშვნელობას ვეღარ შეარყევს დღეს ვერც მოსკოვის ფულით და კარნახით წარმოებული ცილის წამების კამპანია «ლ' იუმანიტეში» და «როტე ფანეში», ვერც სრულიად რუსეთის სამხედრო მინისტრის, ბ-ნ ლევ ტროცკის სხვა და სხვა ევროპიულ ენებზე გამოსული მოზრდილი წიგნი, რომლის სწორედ რომ მთვრალი წითელ არმიელის ტონი და სტილი სავსებით შეეფერება მის შინაარსს.

ჰ.

რედაქციისაგან.

«თავისუფალი საქართველო» მუდამ ღია იყო ყველა მიმდინარეობისთვის, რომელიც კი დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგა და ამ მიზნისთვის იბრძოდა. მის სარედაქციო კოლეგიაშიც მუდამ შედიოდა სხვა და სხვა მიმართულების ხალხი. მაგრამ ფაქტიური, მუდმივი თანამშრომლობა ამ უკანასკნელ დროამდე მარტო ერთ მიმდინარეობას აწვა თავზე. ჟურნალი მაინც არ კარგავდა თავის უპარტიო სახეს და ცდილობდა ყველა ცოცხალ ძალების და მიმართულების თავის გარშემო შემოკრებას.

პარტიათა შეთანხმების შემდეგ პარიზში ეს შესაძლებელი შეიქნა და ამ დროიდან (№ 20) იწყება სხვადასხვა მიმართულებათა ოფიციალური მონაწილეობა ჟურნალში. აქედან იბადება აუცილებლობა ერთგვარი აზრთა ნიუანსების და თვალსაზრისის განსხვავების დაშვებისა. ამიტომ, საჭიროთ ვცნობთ, განვაცხადოთ მკითხველის საყურადღებოთ, რომ რედაქცია პასუხისმგებელია ჟურნალის საერთო მიმართულებისთვის, ხოლო თვითეული ავტორი იმ წერილისთვის, რომელიც მისი ხელმოწერით იქნება.

სარედ. კოლეგია.

დაპყრობილ საქართველოში

საქარ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის არალეგალური კონფერენციის ანგარიში

დაესწრენ წარმომადგენლები რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციებიდან: ქ. თფილისის და მისი რაიონების, რკინის-გზების ორგანიზაციების, ბორჩალოს და თფილისის მაზრის, კახეთის, ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, ჭიათურა-შორაპნის, ქუთაის-ტყიბულის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ფოთის, გურიის, ბათუმის და აფხაზეთის.

საქართველოში გამეფებულ ტერორისა და მთელი სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ მდგომარეობაში ჩაყენების გამო, კონფერენციის დელეგატები ქუთაისის და თფილისის მიდამოებში ათი დღის უნაყოფო ცდის შემდეგ, იძულებული გახდენ გახიზნულიყვენ საქართველოს ერთ-ერთ მაზრაში და იქ ზამთრის ყინვებში ტყეში მოეწყოთ კონფერენცია.

კონფერენციის პირველი დღე.

5 თებერვალს საღამოს 8 საათზე ცენტრალური კომიტეტის სახელით კონფერენცია გახსნა ძველმა რევოლიუციონერმა ამხ. ს. ჯიბლაძემ.

ამხ. ს. ჯიბლაძის სიტყვა.

მოგესალმებით ამხანაგებო და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით კონფერენციას გაუხსნილათ ვაცხადებ. წარსულმა ბედნიერმა დღეებმა გამანებივრეს. თავისუფლად, ფართე სადღესასწაულო კრებებს შეგვაჩვიეს, მაგრამ ეს ჩვენი დღევანდელი ვიწრო ფარული კრებაც ისტორიული კრებაა. ჩვენი პარტია თქვენი სახით დღეს პირველათ და, ღრმათ დარწმუნებული ვარ, უკანასკნელათ იკრიბება ამ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელიც უკუღმართმა წარსულმა წელმა ჩვენ მოგვიტანა, ჩვენ მოგვიმზადა. მაგონდება, თვალწინ მიდგას ჩვენი უკანასკნელი თავისუფალი ყრილობა თავისუფალ საქართველოში ამ ერთი წლის წინეთ. არ ვიცი, რას ფიქრობდენ, რას გრძნობდენ მაშინ კრების დანარჩენი მონაწილენი. პირადათ მე კი, უნდა ვალვიარო თქვენ წინაშე, მაშინ—იმ თავისუფალ კრებაზე ბევრათ უფრო ცუდ გუნებაზე ვიყავი, ვინემ დღეს აქ ამ ფარულ ჯურღმულში. გარედან რკალივით შემორტყმული წითელი ანარქია და ამის გამო შიგნით ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური გართულებანი ერთის მხრით, მეორესი—ჩვენი პარტიული მთლიანობის შერყევა-შეტკეჩილობა,—აი რა მაფიქრებდა მაშინ, რა სწამლავდა ჩემს სულსა და გულს. თავის მოტყუილება იქნებოდა არ დაგვენახა ის საფრთხენი, რომელიც წინ გვედგა მთელი თავისი მუქარით. ჩვენ ცაზე მცურავი შავი ღრუბლები კარგს არას გვიქადიდა, საეჭვო ელექტრონით იქღენთებოდა. მოსალოდნელი იყო ყოველ წუთს მეხის გავარდნა და აი, ის გავარდა კიდეც. ეს იყო უდიდესი განცდა და იმავე დროს—გამოცდა ჩვენი პარტიის და მასთან ერთად მთელი ჩვენი ერის, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისტორიამ ამ ჩვენ პარტიას არგუნა.

როგორ შეასრულა მან ეს დიდი საპასუხისმგებლო როლი? ის უბედურება, რომლის სიმძიმეს ქვეშ, აგერ ერთი წელიწადია სულს ღაფავს მთელი ხალხი, ეგებ ჩვენი ბრალია, ეგებ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც ჩვენ ავიღეთ, მრუდე და დამღუპველი ხაზი იყო? პოლიტიკა, ამხანაგებო, მათემატიკა არაა, რომ მოვლენაა წინდაწინვე სრული სისწორით გათვალისწინება ადვილი საქმე იყოს, აქ—პოლიტიკაში თქვენ გაქვთ საქმე მეტათ რთულ და სათუთ ორგანიზმთან, როგორც საზოგადოებაა. აქ ერთ შემცდარ ნაბიჯს შეუძლია მთელი ხალხის ბედის ნავი უფსკრულში გადაისროლოს. ამის ცოცხალ სურათს დღეს რუსეთი წარმოადგენს. ვინ იტყვის რომ რუსეთის დღევანდელი მესვეურნი—ბოლშევიკები მისი მტერნი იყვენ, რომ მათ რაღაც ბოროტი განზრახვანი ამოძრავებდენ, მიუხედავათ ამისა ამ მოცვრებმა, ამ «მუშათა და გლეხთა» მოციქულებმა, რაღაც ოთხიოდე წელიწადში შეიძლება ბევრათ უფრო მეტი უბედურება დაატეხა თავზე ამავე მუშებს, გლეხებს და საერთოთ მთელს ამ უბედურ ქვეყანას, ვინემ საუკუნოების განმავლობაში თვით მეფეთა ბატონობამ. და ეს იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა აირჩიეს მეტათ ყალბი გზა. უკან ჩამორჩენილ, ნახევრათ ველურ რუსეთში მათ განიზრახეს სოციალური სასწაულის მოხდენა, რასაც უნდა მოყოლოდა და მოცვა კიდეც საშინელი სოციალურ-პოლიტიკური დაშლა და წარღვნა. და აი, როდესაც ისინი იქ, თავისი პოლიტიკური სიბეცით ანგრევდენ უზარმაზარ სახელმწიფოს, ამ დროს, ამ ნანგრევების ფერფლიდან ჩვენი დემოკრატია, ჩვენი პარტიის

საქართველოს პარლამენტის

ხელმძღვანელობით ჰქმნიდა და კიდევაც შექმნა სრულიად ახალი სახელმწიფო, სრულიად ახალს, ჯერ არსად არ არსებულს დემოკრატიულ საფუძველზე. ცხადია, ჩვენ ამას ვერ შევსძლებდით, რომ ჩვენი ცხოვრებისთვის ალღო არ აგვეღო, ან გვეღალატნა იმ ნაკადი პოლიტიკური გზისათვის, რომელიც ჩვენ თავიდანვე ავიღეთ. დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ—აი ჩვენი გზა. და ვიტყვი: ჩვენი ბედი, რომ მარტო ჩვენს ხელში ყოფილიყო, ჩვენ იმას გამოვსჭედდით ისე, როგორც შეიძლება დღემდე არც ერთ ერს არ გამოუჭედია.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დღეს ეს ასე არ ხდება. ველურობის წიაღიდან გამოსული კულტურული კაცობრიობა ჯერ კიდევ ატარებს თავის ბუნებაში დაღს ამ ველურობისას. ჯერ კიდევ ყველანი ყველას ჩასაკლაპავათ შესცქერიან. ჯერ კიდევ ძალაში რჩება ძველი თქმულება, რომ კაცი კაცისთვის, მაშასადამე ხალხიც ხალხისთვის,] მგელია.

ამ დაუძველებელი ჭეშმარიტების მრისხანე გამოხატულება ჩვენ უკვე ვიხილეთ. ჩვენ ვიხილეთ ის საშინელი ომი, რომელშიაც თანამედროვე კაცობრიობის დევები სამკვდრო-სასიცოცხლოთ დაეჯახენ ერთმანეთს, რომელმაც ძირბუდიანათ შეარყია და ააფორიაქა მთელი მსოფლიო, რომელმაც დაანგრია მთელი რიგი სახელმწიფოებისა და გაანიავა საუკუნოებით დაგროვილი ნივთიერი და სულიერი დოვლათი კაცობრიობისა. ამ ომის საშოდან ამოსკდენ ის წითელ კანიანი ველურებიც, რომლებმაც თავის თავი კომუნისტებათ მონათლეს. ამ სოციალიზმის მაძიებელმა რაინდებმა, მათი ხელით დანგრეულ სამშობლოში სოციალიზმის მაგიერ მხოლოდ თებერვლის რევოლიუციის მიერ უკუგდებული მეფის უღელი იპოვეს. თავისებური სისწრაფით სტაცეს ხელი და ჯერ თავის მრავალგანაწამებ ხალხის დაშავებულ კისერზე გაამაგრეს, შემდეგ კი შიგ შეუბეს სხვა პატარა თავისუფალი ერებიც.

ეს მწარე ხვედრი, სამწუხაროთ, ვერც ჩვენ ავიცდინეთ. ეს მგლები, რომელნიც კაიხანია კბილებს ილესავდენ ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი შინაური მგლების წინამძღოლობით ბოლოს ჩვენს საზღვრებშიდაც შემოიჭრენ და დაადვეს ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას თავისი გამანადგურებელი თათები.

ამ ნაირათ, გარედან მოსულმა ძალებმა ერთის დაკვრით მოგვტაცეს უამრავი მსხვერპლით მოპოვებული ჩვენი ორივე განძი—ორივე თავისუფლებანი—პოლიტიკური და ეროვნული.

ასეთია ამხანაგებო, მოკლეთ ჩვენი დღევანდელი ვითარება. აქ, ამ ვითარებაში, მსხვილი და ნათელი ასოებითაა ჩაქსოვილი ჩვენი დღევანდელი მიზანიც: ამ ოკუპანტების ჩვენი საზღვრებიდან გაყვანა, ამ ახალი ფერშეცვლილი თვითმპყრობელობის უღლის ისევ უკუგდება, ხალხის ბატონობის და მისი დამოუკიდებლობის ისევ აღდგენა. რა გზით? ჩვენთვის დღეს ესეც ნათელია. ამ გზას ჩვენ გვიკარნახებს თვით ამ ოკუპანტთა ყოფაქცევის ერთი წლის პრაქტიკა, მათი გაშიშვლებული ველური პოლიტიკა, მათი გაცოფებული ტერორი, რომელმაც მოგვისპო ყველა საშვალებანი ბრძოლის ლეგალურ ფარგლებში წარმოებისა. მდგომარეობა, თქვენ ხედავთ, მეტათ სერიოზულია. ჩვენ პარტიას და მასთან ერთად მთელ ქართველ ხალხს ფიზიკური და მორალური სიკვდილით ემუქრებიან. ჩვენ ამას ვერ ავიტანთ, ჩვენ ამას ვერ შეურიგდებით. რა ვქნათ, რა დაგვრჩენია? უხეში ძალის წინააღმდეგ ძალისავე დაპირდაპირება, ჩვენი დემოკრატიის, მთელი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დარაზმვა, მათი მობილიზაცია,—აი რისთვის უნდა ვემზადებოდეთ დღეს ჩვენ, აი ჩვენი დღევანდელი ტექტიკა.

ჩვენი საკუთარი ძალებით? შემეკითხებით თქვენ. ამხანაგებო, სანამ ბატონობს ბურჟუაზია და მისი წესწყობილება, სანამ არსებობს კლასთა და ხალხთა შორის ბრძოლა, სანამ კაცობრიობას ვერ დაუღწევია თავი იმ ბიოლოგიური პრინციპების ზეგავლენიდან, რომელზედაც მე ზევით მოგახსენებდით, არამც თუ ჩვენისთანა პატარა, დიდ და ძლიერ ერებსაც კი დღეს არ ძალუძთ თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობით თავის არსებობის შენარჩუნება. სწორედ აი აქ მარხია სათავე იმ სატანისებურ ქსოვილისა, რომელსაც საიდუმლო დიპლომატია ეწოდება და რომელიც ხალხთა შორის არსებულ გაცოფებულ შეჯიბრებაში და ჭიდილში უდიდეს იარაღს წარმოადგენს. ჩვენ ამ საიდუმლო ხელოვნებით, რასაკვირველია, ვერ დავიკვეხნით. მიუხედავათ ამისა ჩვენ თავიდანვე ძალიან კარგათ გვქონდა გათვალისწინებული, რომ ისე იმ სიცოცხლეს, რომელიც

ჩვენ იძულებული ვიყავით გვეკიდნა რუსეთიდან გამოყოფით, ვერ შევირჩენდით თუ ომლათ, განმარტოებული დავრჩებოდით. და აი, დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა სწორეთ იქითკენ იყო მიმართული, რომ ეს საბედისწერო ნაკლი, ეს განმარტოება თავიდან აგვეშორებია და ვიტყვი: ჩვენს პარტიას აქვს სრული უფლება იამაყოს იმ უნარით, რომელიც მან აქაც, ამ საგარეო მუშაობის სფეროშიაც გამოიჩინა და იმ შედეგებით, რომელსაც მან მიაღწია. თქვენ იცით ამხანაგებო, დღეს ჩვენთანაა უდიდესი სოციალური ძალა, ჩვენთანაა მთელი თავისი მორალური წონით საერთაშორისო დემოკრატია, რომელიც ბუნებრივი მოსარჩლეა და მექომაგეა ყველა დაჩაგრულთა, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, რომელსაც დღესაც დიდი ფასი აქვს და, მიუხედავათ დამღუპველი ომის ზეგავლენით მისი მთლიანობის გატეხვისა, მის ხმას დიდ ანგარიშსაც უწევენ დღევანდელნი ძლიერნი ამა ქვეყნისა. დღეს ჩვენთან არიან, ამხანაგებო, ჩვენი უბედური მეზობლებიც. გაჭირვებამ მათაც ასწავლა ფასი ხალხთა და მეტადრე მეზობელ ხალხთა შორის სოლიდარობისა. ეგ ცოტაა. დღეს ჩვენსკენ—ჩვენდა სასარგებლოთ იხრება სასწორი თვით საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობისა. მაგრამ ამხანაგებო, ერთი რამ მუდამ უნდა გახსოვდეთ, ერთი რამ არ უნდა გვავიწყდებოდეს: რეალური ღირებულება ყველა გარეშე ძალთა ჩვენდამი კეთილგანწყობილებისა მჭიდროთაა გადანასკვული ჩვენ შინაურ ძალთა ორგანიზაციის ღირებულებასთან და მეც აქეთკენ, ამ შინაურ მზადებისაკენ, შინაურ ძალთა დარაზმვისკენ მოგიწოდებთ თქვენ.

ვერ დაგიმალავთ, თუმცა ჩვენი პერსპექტივა დღეს ბევრათ უფრო ნათელი და დიდი იმედებით მოსილია, ვინემ გასულ წელს,—ჩვენ დღესაც დიდი გართულების შესაძლებლობის წინ ვდგევართ. ჩვენი ცა დღესაც არაა მოწმენდილი, მაგრამ გვაქვს ბევრი საბუთები ვიფიქროთ: თუ მეხი აუცილებელია, თუ ის გავარდა, გავარდება ჩვენდა საკეთილდღეოთ, ჩვენდა აღსადგენათ. ჩვენ აღვსდგებით ახლო მომავალში. ამ რწმენით და იმედებით ვცოცხლობ მე და ამითვე ვათავებ ჩემ მისალმებას.

დასასრულ, ამხანაგებო, მებრძოლთა მოვალეობა და ამხანაგებისადმი პატივისცემა გვავალებს მოვიგონოთ თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე დაღუპულნი გმირთა-გმირები და ოკუპანტების მიერ ციხეებში და ჩეკას ბნელ სარდაფებში ჩაკლული ამხანაგები: პარმენ ჭიჭინაძე, სეით რაზმაძე, ამხანაგი ლეო ნათაძე, მარიამ ბერიანიძე და სხვა მრავალი. ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ნათელ ხსოვნას. (დელეგატები ფეხზე დგებიან).

ამხ. სილიბისტროს სიტყვის შემდეგ კონფერენცია ირჩევს პრეზიდიუმს: თავმჯდომარეთ ამხანაგ ს. ჯიბლაძეს, მდივნათ ნ. ნიალელს.

თავმჯდომარის წინადადებით კონფერენცია თავის საპატიო თავმჯდომარეებათ ირჩევს მსოფლიო მუშათა კლასის ბელადებს: ნ. ჟორდანიას, ნ. ჩხეიძეს (საქართველო), კ. კაუცკის, კნაიისს, მაკდონალდს, ჰენდერსონს, სნოუდენს, ტომა შოუს, გედს, ლონგეს, პოლფორს, რენოდელს, ვანდერველდეს, ჰიუსმანსს, სერატის, ტრევეს, აქსელროდს, მარტოვს, ადლერს, ოტო-ბაუერს, ბრანტინგს, ბერშტეინს, ჰილფერდინგს, გრეილისს, ტანნერს, დაშინსკის.

მიღებულ იქმნა შემდეგი რეგლამენტი: მომხსენებელს 30 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის 15 წუთი, ორატორებს პირველი სიტყვისათვის 10 წუთი, მეორე სიტყვისათვის 5 წუთი.

შემუშავდა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მომენტი და ტაქტიკა.
2) ინტერნაციონალის გაერთიანება.
3) კომუნიზმი და სოციალ-დემოკრატია.
4) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
5) ორგანიზაციულ მუშაობაზე.
6) პროფესიონალური მოძრაობა.
7) შიმშილზე.
8) კოოპერატიული მოძრაობა.
9) მისალმებანი.

1. რეზოლიუცია მომენტზე და ტაქტიკაზე.

აღნიშნავს რა ბოლშევიკური ოკუპაციის მიერ თავის დაპირების დარღვევას საქართველოს მიმართ, ტერიტორიის დაქუცმაცებას, სიმდიდრის რუსეთში გაზიდვას, ქართველობისადმი უნდობლობას, მოსკოვის იმპერიალისტური მოთხოვნილებების თანახმათ, რეზოლიუცია აღიარებს, რომ მთავარი ძალა საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველი—ქართველი მუშები და გლეხებია, და რომ ამიტომ ბოლშევიკები სწორეთ ამ ძალების დევნას და აწიოკებას ანდომებენ თავის მთელ ძალას. შემ-

დეგ რეზოლიუციაში ჩამოთვლილია, რუსიფიკატორული პოლიტიკა, თავისუფლების მოსპობა, ქართული ჯარის გაუქმება, და დაასკვნის, რომ ბოლშევიკები შემოვიდენ საქართველოში მაშინ, როცა იგი თვით რუსეთში დამარცხდა, როგორც სოციალისტური მთავრობა და აშკარათ შედგა ნაციონალისტურ იმპერიალისტურ ნიადაგზე. ოკუპანტებმა, რომელნიც თითქოს მუშებისა და გლეხების სახელით განაგებენ ქვეყანას, ვერ გაბედეს მუშათა და გლეხთა საბჭოების ნამდვილი და თავისუფალი არჩევნების მოხდენა. სოციალ-დემოკრატიამ წინადადება მისცა ეგრეთ-წოდებულ რევკომს, რომ საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ნების გამოთქმას კონტროლი გაუწიოს ევროპის სოციალისტებისა და კომუნისტების შერეულმა კომისიამ. კიდევ მეტი, საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მას წერილობით განუცხადა, რომ ის თანახმაა ამ კომისიაში უმრავლესობა ევროპის კომუნისტები ყოფილიყო. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, დამპყრობლებმა უარყვეს ეს ყოვლად უდავო და სამართლიანი წინადადება და აწყობენ საქართველოში ისეთ საზიზღარ საარჩევნო კომედიებს, რომლის მსგავსი არ იცის თვით ბოლშევიზმით წამებულმა რუსეთმა. ოკუპანტებმა საქართველოში არჩევნების უფლება წაართვეს ქართველ მშრომელ ხალხს და ასეთი უფლება მისცეს რუსეთის ჯარებს, რუსეთიდან ჩამორეკილ ჩინოვნიკებსა და მათ ოჯახებს. საქართველოს მშრომელმა ხალხმა, ყველა პოლიტიკურმა და მთელმა ერმა უარყო, რასაკვირველია, იმ საარჩევნო კომედიაში მონაწილეობა, რომელსაც ჩმახავს საოკუპაციო ხელისუფლება. საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაიპყრო, ოკუპაციის ქვეშ დააყენა რუსეთმა და ამ დაპყრობის დასადასტურებლათ ოკუპანტები აწყობენ დიდ საარჩევნო სიყალბეს, მაგრამ ქართველი ერი არ ღებულობს და ვერც მიიღებს მონაწილეობას ამ ეგრეთ წოდებულ არჩევნებში. ქართველი ერის ნამდვილი ხელისუფლების არჩევნები შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც უცხოელთა ოკუპაცია მოიხსნება.

საქართველოს დღევანდელი ტრაგიკული მდგომარეობა არის შედეგი საერთაშორისო ძალთა ჭიდილისა. საქართველოს დღევანდელი შინაგანი მართველობა შედეგია მისი უცხო ძალის მიერ დაპყრობისა. მისი შინაგანი მონობის უღელი გადავარდება მაშინ, როდესაც ის განთავისუფლდება რუსეთის ოკუპაციისაგან.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში სოც.-დემ. პარტია კვლავინდებურათ დაეყრდნობა საქართველოს მუშათა კლასისა, მოწინავე გლეხობისა და მთელი დემოკრატიის მოქალაქობრივ შეგნებასა და ნაცად რევოლიუციონურ ენერგიას, საერთაშორისო მუშათა კლასისა და განახლებულ ქვეყნების დემოკრატიის უანგარო თანაგრძნობასა და დახმარებას.

აწარმოებს რა საკუთარ კლასიურ პოლიტიკას, საქართველოს სოც.-დემოკრატია საქართველოსთვის ამ ტრაგიკულ და საბედისწერო მომენტში საჭიროთ სთვლის ხელი შეუწყოს მთლიანი ეროვნული სახელმწიფოებრივი ფრონტის შექმნას ერის იმ სასიცოცხლო ძალებიდან, რომელნიც დგანან დემოკრატიულ ნიადაგზე განურჩევლათ ტომისა და რწმენისა, ერთი მიზნით: ერის ფიზიკური, ეროვნულ-კულტურული განადგურებისაგან გიდასარჩენათ, რუსეთის ოკუპაციის მოსახსნელად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

2. რეზოლიუცია ინტერნაციონალზე.

მოისმინა რა მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის შესახებ, საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის კონფერენცია აუცილებლათ სცნობს ერთი მთლიანი ინტერნაციონალის აღდგენას, რომელიც თავისი გაერთიანებელი ძალებით ისტორიულათ მოწოდებულია გადამჭრელი როლი ითამაშოს დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისის დასაძლევათ. ამ მთლიანობის აღსადგენათ კონფერენციას აუცილებლათ მიაჩნია სხვა და სხვა მიმართულების სოციალისტურ პარტიათა შორის საერთო შეთანხმება ყველა სექციებისათვის სავალდებულო პროგრამის და ტაქტიკის ძირითადი დებულების მიღებით, რომელიც სრულებით თავისუფალი უნდა იყოს ბუნტარულ და ავანტიურისტულ ელფერისაგან.

რაც შეეხება დროებით შეთანხმებას ამა თუ იმ კონკრეტიულ კითხვაზე ინტერნაციონალში არსებულ მიმართულებათა შორის,—ეს სასურველია შემთანხმებელთა შორის შემდეგი წინასწარი პირობის მიღებით:

1) ბრძოლა მილიტარიზმთან და ეროვნული თვითგამორკვევის სრული აღიარება.

2) მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

3) სხვა და სხვა მიმართულების სოციალისტურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების და პრესის ლეგალური არსებობის უდაო და სავსებით დაცვა ყველა ქვეყნებში.

(დასასრული იქნება)

საერთაშორისო მუშათა კლასს და დემოკრატიას.

თფილისის პროლეტარიატისაგან.

17 თებერვალს ღამით გარდაიცვალა საქართველოს მუშათა კლასის ბელადი და საქართველოში სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის დამაარსებელი მოხუცი რევოლიუციონერი სილიბისტრო ჯიბლაძე.

გარდაიცვალა საშინელ ტანჯვა-წამებაში, დევნაში და შავბნელ დროში.

მთელი ზაფხული ის ჯერ «ჩეკის» ბნელ სარდაფში, შემდეგ კი მეტეხის ციხეში აწამეს და მხოლოდ მძიმეთ დაავათმყოფებული დროებით გაანთავისუფლეს; რამოდენიმე დღის შემდეგ წილათ ხვდა ღევნა ველური და ამ დევნაში გაათავა თვისი წამებული სიცოცხლე.

ჩვენი ძვირფასი მოხუცი—დევნილი რევოლიუციონერი თავის ბინაზე მივასვენეთ მალულად, ღამით...

ჩვენ გვინდოდა მოხუცი მასწავლებელისათვის, მუშათა კლასისთვის თავგანწირული მებრძოლისათვის 23 თებერვალს პატივი გვეცა და ცივ სამარესათვის ღირსეულად მიგვებარებინა... მაგრამ წამებულს ესეც არ ეღირსა. დამგლოვიარებულ მუშათა კლასს ამის ნება არ მოგვეცა.

ჩაიდინეს ისტორიული საშინელება... დამწუხრებულ ქართველ ერს, მშრომელ ხალხს, კიდევ ახალი უბედურება დაატეხეს თავზე.

21 თებერვალს საღამოს 8 საათზე სილიბისტრო ჯიბლაძის ბინას თავს დაესხა ჩეკის შეიარაღებული რაზმი. ქუჩებში გარეკეს ხალხი, ჭირისუფლები, მშობლები, ტლანქი, უხეში ძალით გარეკეს და მოხუცის ცხედარი გაიტაცეს. წაიღეს ღამით და რუსების ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს და საფლავს დარაჯები დაუყენეს.

ეს ჩაიდინა საქართველოში რუსის ხიშტებით გაბატონებულმა საოკუპაციო მთავრობამ. ამით მათ სასტიკად შეურაცხყვეს უდიდესი რევოლიუციონერის წმინდა ცხედარი და ფეხქვეშ გასთელეს მთელი საქართველოს კლასის ბრძოლის ისტორიაც.

მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის სიყვარული, მისი წმინდათა წმინდა მოხუცი სილიბისტრო, რამოდენიმე ათეული წლეების რევოლიუციონერი, რომელიც ხანგრძლივად იტანჯა ცარიზმის დროს ციმბირის ციხეებში და ეტაპებში, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა კლასს და სოციალიზმისათვის ბრძოლას შესწირა, საქართველოს დაპყრობის დროს მას წილად ხვდა საშინელი წამება-დევნა, სიკვდილი და გარდაცვლილს ქურდული თავდასხმა და საშინელი შეურაცყოფა...

ის ჭირისუფლებს გამოსტაცეს... მისი გარინდებული ცხედარი მტრებმა წაიღეს...

ამ საშინელ და ჯერ არ მომხდარ ამბავით აღშფოთებულია მთელ ქართველ ერთან საქართველოს მუშათა კლასი.

გატყობინებთ რა ამას საერთაშორისო მუშათა კლასს და მთელი ქვეყნის დემოკრატიას დაე, იცოდეთ, რომ 21 თებერვალს რუსეთის ჯარების საოკუპაციო რევკომის საგანგებო კომისიამ ჩვენი საყვარელი მოხუცი სილვას ცხედარი ღამით დაატყვევა და გაიტაცა.

მონდობილობით:

რკინის-გზის მთელი სახელოსნოს და დეპოს მუშებისაგან. *)

სამხედრო არსენალის მუშებისაგან.

ტრამვაის მუშებისაგან.

სტამბა-ლიტოგრაფიების მუშებისაგან.

ადელხანოვ-ტოლეს ქარხნების მუშებისაგან.

ნავთლუღის რკინის-გზის მუშებისაგან.

თამბაქოს ქარხნების მუშებისაგან.

ელექტრონის სადგურის მუშებისაგან.

მოსწავლე ახალგაზდობის გამოსვლები გურიაში.

ოზურგეთი. მიუხედავათ ცუდი ამინდისა და სხვა მრავალ ხელშემშლელ მიზეზებისა, ოზურგეთში მოწაფეობამ დილიდანვე იწყო დენა სასწავლებლებში, 11 საათსა და 20 წუთზე ქალაქში ყველა სასწავლებლებში (ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, საოსტატო სემინარია 1. 2. 3 შრომის სკოლები) ისმის სათანადო სიგნალი და ქალაქი უცებ გამოცოცხლდა. ისმის სიმღერა «დიდება», «ქართველო ხელი» და სხვ., მოსჩანს დროშები ეროვნული და შავი. ერთ ქუჩაში მოსჩანს ვაჟთა გიმნაზიელები, იქ მეორე მხრივ ქალთა გიმნაზიის, სემინარიის და შრომის სკოლის მოწაფენი.

*) ხელმოწერების სახელი და გვარი რედაქციაში ინახება.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემონსტრანტებს წინ ეღობება ჩეკისტები, მილიციონერები; დაშლის წინადადების შემდეგ ესვრიან ზოგი მიწაზედ, ზოგიც ჰაერში. ქუჩებში ჩნდება რუსის წითელ არმიელები. ისმის გამუდმებით სროლა. ფეხზე დადგა მართველ პარტიის ყველა წევრები. განსაკუთრებით ერთგულებას იჩენენ რევკომისა და პარტკომის წევრები: ანდრო დოლიძე, თედო დოლიძე, ივლ. სურგულაძე, მ. მკურნალი და სხვები. დაერიენ მოწაფეებს და შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. სცემეს ბევრ მოწაფეს. მათ შორის განსაკუთრებით დაშავებულია მოწაფე ქადეიშვილი, რომელსაც შუბლი გახეთქილი აქვს და სახე დაბეჟული-დასიებული, თავგახეთქილია გრ. არონიშიძეც.

მიუხედავათ ყველა ამ მხეცურ წინააღმდეგობისა, მოწაფეებმა მედგრად გასწიეს წინ ძმათა სასაფლაოსკენ, ისმის ვაშას ძახილი, გაუმარჯოს საქართველოს დემ. რესპ. ძირს მტარვალები, სამშობლოს გამყიდველები და სხვ. გრძელდება ასე ორ საათამდე. მის შემდეგ დემონსტრანტები წითელ არმიელების მიერ ალყა შემორტყმული დატუსაღებულნი იქნენ. მრავალი მოწაფე თვით შეუერთდა დატუსაღებულთ, ქუჩები შეკრულია. იჭერენ ყველა გამვლელთ, კერძო მოქალაქეთაც. რეპრესიები გრძელდება საღამომდე. დატუსაღებულთ ჩხრეკენ. გამჩხრეკს თან ახლავს ჯარის-კაცები ტომრებით, სადაც აგროვებენ დატუსაღებულთაგან უკანტროლოთ ჩამოართმეულ ფულს, საათებს, ბეჭდებს და ყველაფერს რაც კი აღმოაჩნდათ. ეს იყო ნამდვილი ძარცვის დღე. დაღამებისას დამშვიდებულნი შეუდგენ ტუსაღთა გადაცხრილვას. დატუსაღებული აღმოჩნდა სულ 1,000-დე მოწაფე და 300-დე გარეშე მოქალაქე. თვით დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 4,800-დე მოწაფემ.

ლანჩხუთი. 11 თებ. საღამოს მოხდა საერთო ჭერა. ამათში დაიჭირეს 5 მოწაფე (გიმნაზიელები) ორშაბათს 13 თებ. კომუნისტებს ეტყობოდა მღელვარება. რაში იყო საქმე არ იცოდენ. დაიწყეს ძალების გაძლიერება, სოფლებიდან მოიხმეს პარტიის წევრები.

14 თებერვალს დილით სასწავლებლის კარებში დაიჭირეს რამოდენიმე მოწაფე. სასწავლებლის კარებში მილიციონერები იდგენ. ჯერ ყველა მოწაფეები არ შეგროვილიყვენ, რომ მილიციონერებმა ერთი ჯგუფი მოწ. გარეთ დაატყვევეს და სკოლაში არ უშვებდენ. ამ დროს საქალებო გიმნაზიიდან მივიდენ მოწაფეები და შიგ მყოფნი გიმნაზიელები ქუჩაში დაირაზმენ, დროშა ამართეს და «დიდება» შემოსძახეს. მილიციონერები გაშეშდენ. ჯაშუშმა მოწაფე გოგიჩაიშვილმა ადმინისტრაციას აცნობა. მოვიდენ დიდძალი შეიარაღებული კომუნისტების რაზმები და ასტეხეს სროლა. მოწაფეები თავისას განაგრძობდენ. დედები და მამები ამხნევებდენ თავიანთ შვილებს და ეხმარებოდენ მათ მილიციონერების ცემაში. ერთმა მამამ თვითონ მობრიგვა კარგათ ერთი კომუნისტი და თოფი გადაუგდო. სროლის ქვეშ 1,000-ზე მეტი მოწაფე მიადგა უმაღ. დაწყ. სასწავლებელს. აქ კომუნისტურ რაზმმა მოკლა მე-8 კლასის მოწაფე ქობალავა (განსვენებულის ძმა გვარდიელი სწორეთ შარშან ამა დღეს მოკლეს წითელი ხიდის მიდამოებში ბრძოლის დროს). 200 მოწაფე შერეკეს უმაღლეს სასწავლებლის შენობაში, დანარჩენი გაფანტეს. მოწაფეები მაინც არ ცხრებოდენ, შეამწყვდიეს დარბაზში და შენობას რამოდენიმეჯერ ზალპი მისცეს. სასწავლებლის ეზოში დაუდგეს პულიმიოტები და მოსთხოვეს მოწაფეებს მეთაურები. პასუხად «დიდებას» მღეროდენ. კომუნისტებმა შიგ ზალაში დაიწყეს მაუზერებიდან სროლა. გამობრუნებული ტყვია მსროლელს მოხვდა მკლავში.

საუცხოო სურათი იყო, როდესაც დედები თავიანთ შვილებს, როგორც ვაქებს ისე ქალებს უშვებდენ დემონსტრაციაში და ამხნევებდენ. ვის რამდენი სცემეს ვინ იცის. ბევრი კომუნისტი მაგრად გალახეს. მოწაფეთაგან მოკლულია ერთი კობალავა და დაჭრილია ერთი. მოკლულის დასაფლავებისათვის ხალხი მზადებას შეუდგა, მაგრამ აკრძალეს ხალხის მისვლა, მიცვალებულის ეზოში ტყვიისმფრქვეველები დადგეს და არავის უშვებდენ.

ლანჩხუთში 14 თებერვალს გამოაცხადეს სამხედრო წესები. როდესაც რუსის ბრონევიკი მოვიდა ადგილობრივმა კომუნისტებმა მას ჩაბარეს ძალა-უფლება. ადგილობრივი კომუნისტების დახმარებით მოქმედებდენ ბრონევიკის მეთაურები. როდესაც მოწაფეებს ბრონევიკის უფროსი დაემუქრა და ცემა დაუწყო, მოწაფეებმა უპასუხეს: დაგვხოცეთ, ჩვენ კალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით და წიგნებით ვართ შეიარაღებულნი, თქვენ კი თოფ-ზარბაზნებითო, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დაგვიმორჩილებთო. დატუსაღებულ მოწაფეებს დაადგა თავზე ბრონევიკის უფროსი და ბევრი სცემა, მას ეხმარებოდა მისი თანაშემწე. ცემის და არეულობის დროს მოკლეს ბრონევიკის უფროსი.

ასეთსავე ამბებს ქონდა ადგილი მთელს გურიაში და თითქმის ასეთივე სურათი იყო შორაპნის მაზრაში და სხვაგან.

წერილი სიღნაღის მაზრიდან.

ერთი წელიწადი შესრულდა, რაც სიღნაღის მაზრაში შემოღებულ იქნა ახალი ფორმით **ბატონყმობა**. სიღნაღის მაზრის რამოდენიმე სოფლებში ძველათაც არ ყოფილა ბატონყმობა და ეს გარემოება განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა ამ მაზრის მცხოვრებთ, მაგრამ მოვიდენ კომუნისტები და ბლომად მორეკეს რუსის ხიშტიანი ჯარისკაცები და ეხლა კი იგემეს ქიზიყელებმა თუ რა არის ბატონყმობა და თავისუფალი ხალხის მონებად გადაქცევა. ჩვენ არა გვგონია, რომ ქვეყნად კიდევ იყოს სადმე ისეთი კუთხე, სადაც ასე სრულიად უნიადაგონი იყვენ კომუნისტები, როგორც სიღნაღის მაზრაში და საერთოდ კახეთში. სხვაგან იქნებ თითო-ოროლა თანამგრძნობი მაინცა ყავდეთ, აქ კი ამასაც მოკლებულნი არიან. ამას ხედავენ და გრძნობენ თვით კომუნისტებიც, მაგრამ რაღა კომუნისტები იქნებოდენ თუ იმას იტყოდენ, რაც ნამდვილად არის. პირიქით მთელ ქვეყანას აყრუებენ, რომ ხალხი მათ თანაუგრძნობს. კომუნისტების მუშაობა მაზრაში წაგავს კომედიას. კომუნისტების საოკუპაციო ჯარების შემოსვლისთანავე საქართველოში, დიდძალ ჯარის-კაცებს მოუყარეს თავი სიღნაღის მაზრაში, დაბანაკეს მცხოვრებლების ბინებზე და მათვე დააკისრეს მათი კვება. მაზრის მცხოვრებნი კვებავდენ რუსეთიდან მოსულ დამშეულ ჯარის-კაცებს და ეს გრძელდება დღესაც. ამიტომ არის, რომ დღეს სიღნაღის მაზრის მცხოვრებთა 70% შიმშილობს. მაზრაში საშინლად გაფართოვდა ავაზაკობა. სძარცვავენ, ხოცავენ ხალხს და დღეიდის მათი პასუხის მომთხოვი არავინ არის. ყაჩაღები ისე გათამამდენ, რომ მიდიან ფურგუნებით საცარცველად და მოაქვთ ნაცარცვი. ხალს ეს არ უკვირს და არც ჩივიან ვისთანმე, ამბობენ: ვისთან ვიჩივლოთ, მართვა-გამგეობაში მათივე ხალხია და რა გამოვაო. და ეს ხდება აქ იმ დროს, როდესაც სოფლები სავსეა წითელ არმიელებით და ყველა შეიარაღებულ ჩეკა-მილიციით. ხალხნ უკმაყოფილებას და გაჭივრებას საზღვარი არა აქვს. ნატურალური გადასახადის აკრეფა რომ მაზრაში მართლა კომედია გამოუვიდათ. მაზრის მცხოვრებლებმა საერთო უარი გამოუცხადეს. ხალხი დასცინოდა მათ მიერ მოწყობილ «სასურსათო კვირეა»-ბის კომპანიას. ბოლოს იძულებულნი გახდენ სრულიად შეემცირებინათ გადასახადი და გადაეხდევინებინათ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი, მაგრამ მცხოვრებლებმა ამაზეც უარი განაცხადეს: ჩვენი ნებით არ გადავიხდით, მოდით და ძალათ წაიღეთ. და აი მოიყვანეს რუსის წითელ არმიელნი და მათი საშუალებით შეუდგენ ნატურალური გადასახადის აკრეფას. საშინელი სურათი დატრიალდა; დატუსაღება, ცემა-ტეეპა, ჯარისკაცთა, ჩეკისტთა ჩაცენება და ათასი სხვა თვითნებობა. ამ საშუალებით ფიქრობენ ნატურალური გადასახადის აკრეფას. კომუნისტების წინააღმდეგ ყველაზე ხმა-მაღლა ლაპარაკობენ სოფლის უღარიბესი მცხოვრებნი. საშინელ გაჭივრებაში ჩაცვივდენ და სამუშაოც ვეღარ უშოიათ, თუ ყავდათ ვინმე ისინიც აღარ დგებიან კომუნისტებთან და პარტიიდან გარბიან. რადგან ადგილობრივი ხალხი არა ყავთ, მაზრაში მუშაობს უმთავრესად მოსული ხალხი და, რომ ხალხი დაიმორჩილონ არ იშორებენ მაზრიდან რუსის წითელ არმიას. ხალხის ჭერას და შეურაცხყოფას აღარა აქვს საზღვარი. თუ ვისმეს რამე შეაგულეს, ან ავაზაკები გასცარცვავენ, ან და ჩეკისტები დაატუსაღებენ, მერე ქრთამს გამოართმევენ და გაანთავისუფლებენ. მიუხედავათ ასეთი საშინელი რეპრესიებისა, მაზრაში ხალხი არ მალავს თავის უკმაყოფილებას და ხშირად ეუბნებიან: კმარა, გეყოფათ თავხედობა, ახლა დროა წახვიდეთო.

11 თებერვალმა სრულიად დაუბნია დავთრები კომუნისტებს. თავიანთი სიმძაფრე უმაღლეს წერტილამდე აიყვანეს. ატუსაღებდენ ყველას. მიუხედავად ამისა ხალხში სრული ერთობაა. უგზავნიან საჭმელს დატუსაღებულებს და მათი დასჯა თავიანთ დასჯათ მიაჩნიათ. 25 თებერვალს ქიზიყის თითქმის ყველა ეკლესიის გუმბათებზედ ფრიალებდენ ეროვნული დროშები ზედწარწერებით **«გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას»**. მთელი სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი გაერთიანებული, ელიან ოკუპანტებისაგან და ახალი ფორმის ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებას.

გლეხი.

F 1294/1
1920

ბოლშევიკების მხეცობა.

სოფელ ჯუგანი (სიღნაღის მაზრა) 13 დეკემბერს ამოსწყვიტეს ხუთი ძმის ელაშვილების ოჯახი. არ დაინდეს არც ქალი, არც დედა, არც აკვანში ძუძუთა ბავშვი. ბრძოლის ველი საზარ სანახაობას წარმოადგენდა, ამოხოცეს ჩვიდმეტი სული. თხუთმეტამდე ბოროტმოქმედს, რომელნიც მისულიყვენ ვითომდა «გასაჩხრეკათ» შვილი დედის კალთაში დაეკლათ. ნამუს ახდილი დედები და პატარძლები ქმრების გვამებზედ აეჩეხათ.

ვინ რას ემართლებოდა მთელ ქიზიყში სახელგანთქმულს, პურმარილიანს ოჯახს ელაშვილებისას? განუყრელათ სცხოვრობდენ, საკუთარი მარჯვენით შრომობდენ. ერთს დიდ ოჯახს ჰყავდა თორმეტი მომუშავე ვაჟკაცი, რომ არ დავთვალოთ მათი გმრჯელი ცოლები და შვილები. დღეს ეს ოჯახი დაიღუპა და ჩაქრა. ერთი კვირის წინ ამ ოჯახმა მთავრობის აგენტებს მიჰყიდა ღორი ორასი მილიონისა. ამ ფულმა თვალები აუპრელა ჩეკისტებს. ჯერ მოკლეს თფილისში მომავალი ღორის მყიდველი, რადგან მან ფული პატრონს სიღნაღში არ ჩააბარა, როგორც ეს თავიდანვე უკარნახეს, ხოლო იმავე ღამეს თავს დაესხენ თვით ღორის პატრონებს. საწყალი გლეხები ეხვეწებოდენ, ნუ დაგვხოცავთ და რაც გვაბადია ყველაფერი წაიღეთო, მაგრამ არ დაინდეს, რადგან მათ ყველას პირადათ ეს ოჯახი იცნობდა. ერთმა დაჭრილმა ძმამ ორი დღე კიდევ იცოცხლა და მან გამოაშკარავა თავდამსხმელთა ვინაობა. ადგილობრივ რევკომს, სიღნაღის გამომძიებელს და ნათესავ-ნაცნობებს დაჭრილმა ელაშვილმა განუცხადა, რომ თავდამსხმელნი იყვენ სიღნაღის ჩეკის მოხელენი ვანო ბაკალაშვილი, სოლიკო ნუკრიანელი და მისი ამხანაგებიო. დღესაც მთავრობის ეს მოხელენი თავისუფლად დადიან და მათვე აქვთ მინდობილი მისი გამოძიება.

აფხაზეთის ამბები.

სამურზაყანოს რაიონი. საბჭოების არჩევნები ამ რაიონში კომუნისტებმა დააგვიანეს. ეს იმით აიხსნება, რომ არსებულ ხელისუფლებით ხალხი მეტად უკმაყოფილოა; უკმაყოფილება თან და თან იზრდება. მთავრობის მოთხოვნილებებს ხალხი არ ასრულებს: მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრიდან აუარებელი პროპაგანტისტები და აგენტებია გაგზავნილი «პროდნალოგის» შესაკრებად,—ხალხი მათ მოწოდებას ყურადღებას არ აქცევს და გადახდაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. კომუნისტები კრებას კრებაზე მართავენ, ეწევიან პროპაგანდა-აგიტაციას, მაგრამ ხალხი არ ესწრება მათ კრებას და კომუნისტებიც იმედ გაცრუებულნი რჩებიან.

ოჩამჩირე. ქ. ოჩამჩირეში საბჭოს არჩევნები 25 თებერვალს მოხდა. მენშევიკების დროს ამრჩეველთა რიცხვი 1.000 კაცი იყო. კომუნიტების არჩევნებს აქედან მხოლოდ ასამდე კაცი დაესწრო. ამათაც კომუნისტების სიას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და თვითონ აირჩიეს ორი კომუნისტი და ორი უპარტიო: კომუნისტებს ეს არ მოეწონათ და არჩევნები გააუქმეს. ხალხის სულიერი განწყობილება და «პროდნალოგთან» დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც სამურზაყანოს რაიონში. 16 თებერვალს დაიჭირეს 17 მასწავლებელი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოითხოვეს ჯამაგირი, რაც რამოდენიმე თვეა არ მიუღიათ. 22 თებერვალს დაჭერილები გაანთავისუფლეს, მაგრამ 25-ს ისევ დაიჭირეს. 3 მასწავლებელი გაგზავნეს სუხუმის ციხეში, დანარჩენები კი ისევ გაანთავისუფლეს.

სუხუმის რაიონი. არჩევნებზე ხალხი არ ესწრება. კომუნისტების პროპაგანტისტები ათასგვარ ხერხს მიმართავენ, რომ ხალხი ჩაითრიონ არჩევნებში, მაგრამ მათი ცდა უშედეგოთ რჩება.

აფხაზეთის მთავრობამ სცადა საკუთარი ჯარის შედგენა, მაგრამ გაწვეული ჯარის კაცები მეორე დღესვე წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში. ამ ჟამად სუხუმში სდგას 300-400 რუსი ჯარის კაცი. ყავთ დაქირავებული მილიცია, მაგრამ ამაშიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გესმის მთავრობის მიმართ უკმაყოფილება.

კომპარტიაში განხეთქილებაა. ერთი მხარეზეა ეშბას ჯგუფი, ხოლო მეორეზე ლაკობასი. პარტიულ დისციპლინას ყურადღებას არ აქცევენ. კომიტეტის ერთ-ერთი სხდომაზე რევოლვერამდეც კი მისულა საქმე. განხეთქილება გამოწვეულია საქართველოს ორიენტაციის საკითხის გარშემო.

ოლქში ყოველ დღე მოდიან დამშეულები რუსეთიდან. მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება და საშიშ ხასიათს იღებს.